საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში 4.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—4.500.000 კოლექტ. ხელის მოწ. 3.000.000 მანეთი განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 195 კვირა 26 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 175,000 მან. № 195

დ ღ ი უ რ ი

— პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე ამხ. ზინოვიევმა განაცხადა, რომ ლენინი ჩქარა დაუბრუნდება მუშაობას.

— გერმანია ახალი რევოლიუციის მოლოდინშია. შტრეზემანის მთავრობა უძლურია გერმანიის ახლანდელი მდგომარეობიდან გამოყვანის საქმეში. მარკის კურსის დაცემა გრძელდება.

— ს. ს. რ. კ. საგარეო საქმეთა მინისტრმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ინგლისის მთავრობას ვრანგელის კუნძულის დაკავების განზრახვის გამო.

— ჩინეთში ძლიერდება მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ. პეკინში დასწვეს ბრიტანეთის მისიის შენობა.

სოფელთან დაკავშირების საკითხები

კომპარტიის მოწოდებამ სოფელთან დაკავშირების შესახებ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა ქალაქის მუშებში, როგორც პარტიის წევრებში, ისე უპარტიო მასაში. ტფილისში თითქმის არც ერთი წარმოება-დაწესებულება არ დარჩენილა, რომ თავის თავზე არ აეღო ამა თუ იმ სოფლის თუ თემის შეფობა.

სოფელთან კავშირის გაბმა და მასთვის დახმარების მიწოდება ზაფხულობით უფრო ადვილი საქმეა და, სხვათა შორის, ამითაც აიხსნება ის ხშირი ექსკურსიები, რომლებსაც ტფილისის კომუჯრედების ინიციატივით აწყობენ მუშათა მასები სოფლებში. მაგრამ მუშათა წრეებს თავისთავადაც კარგად აქვთ შეგნებული სოფელთან დაკავშირების მნიშვნელობა და მშრომელი გლეხობის კულტურულ-ეკონომიური წინსვლისთვის ხელის შეწყობის საჭიროება. და მართლაც დღევანდელ სოფელს მეტად ესაჭიროება ცენტრის ყურადღება, დახმარება და ხელმძღვანელობა.

სიმშილობის პერიოდმა თუმცა განვლო, მაგრამ გლეხმა სიღარიბესა და გაჭირვებას მაინც ვერ დააძრო თავი, მაინც ვერ შესძლო ომის პერიოდში დაზიანებულ დანგრეულ მეურნეობის სავსებით აღდგენა. როგორც უპარტიო გლეხთა კონფერენციებზე გამოირკვა, გლეხობა დღესაც შორს დარჩა კულტურისაგან, განსაკუთრებით შორეულ სოფლებში, სადაც იშვიათად თუ არსებობენ სკოლები, ფოსტა, კოოპერატივები და სხვა, სავაჭრო გზებიც და ხიდებიც კი. ვინც დაკვირვებია სოფლების მდგომარეობას, შენიშნული ექნება, რომ რამდენადაც სოფელი მოკლებულია მიმოსვლის საშუალებებს, სავარგის გზებს, და ხიდებს, რამდენადაც ის დაშორებულია ამა თუ იმ კულტურულ ცენტრს, იმდენად მისი კულტურულ-ეკონომიური მდგომარეობა უმწეოა. სწორედ ასეთი სოფლები უფრო მეტად საჭიროებენ ქალაქის მუშების და ცენტრალური მთავრობის ყურადღებას. სწორედ ამ სოფლების მიმართ უნდა იქნეს გამოჩენილი განსაკუთრებული მზრუნველობა, რომ ისინი გამოვიყვანოთ იმ პირველყოფილ მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფებოდენ ყოფილ მთავრობების დროს.

ტფილისის შეფებმა კი თავისი უმთავრესი ყურადღება ტფილისის ახლო მდებარე სოფლებს მიაქციეს და უმთავრეს მზრუნველობას მხოლოდ მათზე იჩენენ. ტფილისზე მოშორებით უმთავრესად ისეთ სოფლებს ირჩევენ, რომლებიც რკინის გზის ლიანდაგთან ახლო მდებარეობენ. ესეც კარგი საქმეა მაგრამ, როდესაც სოფლებზე ვლაპარაკობთ, მთავარი ყურადღება განაპირა სოფლების მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა მივაქციოთ. მათი პირველყოფილ მდგომარეობიდან გამოსაყვანათ ენერგიული ზომების მიღებაა საჭირო და ამ მიმართულებით აუცილებლათ უნდა გაცხოველდეს მუშაობა. პროლეტარულმა სახელმწიფომ შორეული, მივარდნილი კუთხეების დაბეჩავებულნი მცხოვრებნი აუცილებლათ უნდა გახადოს თავის კულტურის და განვითარების მონაწილეთ. შეფები თავისი საკუთარი ძალით ვერ შესძლებენ იმ მიზნის განხორციელებას, რომელიც დასახული ჰქონდა სოფელთან დაკავშირების მოწოდებას და აქ საერთო სახელმწიფოებრივი საშუალებები და ზომებია საჭირო.

მაგრამ არც ყველგან იქ, სადაც შეფები ახერხებენ მისვლას, კეთდება ყველივე ის, რაც დასახული ჰქონდა მიზნათ შეფობის შემოღებას. არის შემთხვევები, როდესაც შეფის მზრუნველობა გამოიხატება თითქმის მხოლოდ სოფლისკენ ექსკურსიების მოწყობით და მიტინგებით. გლეხობა კი უფრო რეალურ დახმარებას მოითხოვს და საჭიროებს. გლეხი ყოველივეს პრაქტიკული თვალით უყურებს და მასთან დაახლოებას პრაქტიკული, საქმიანი ხასიათი უნდა ჰქონდეს. მარტო ექსკურსიებით, მიტინგებით და ჟურნალ-გაზეთებით, რომლებითაც გლეხთა უმრავლესობა, ვერ სარგებლობს, ვერ შევსძლებთ სოფლის მდგომარეობის გაუმჯობესებას. აქ პირველი საქმეა: სოფლისთვის საჭირო სამეურნეო ინვენტარის მიწოდება, სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესება მათთვის სავარგის შენობათა გამონახვით და შეკეთებით, გამოცდილ მასწავლებელთა მიწოდებით, კოოპერატივების მუშაობის გაცხოველებით, გზების და ხიდების გაყვანით და ყოველგვარ ადმინისტრატიულ უსამართლოების ნაშთთა აღმოფხვრით და სხვა.

სხვათა შორის, აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სოფლად მომუშავე ამხანაგების შრომა დღეს კიდევ ვერ ფასდება საკმაოდ, რის გამოც სოფელს ყველა გაურბის და სოფელი უპატრონოთ რჩება. აუცილებლად საჭიროა, რომ სოფლად მომუშავე ამხანაგები, რომლებიც პირნათლად და სრული შეგნებით ასრულებენ თავის მძიმე მოვალეობას, წაქეზებული იქნენ ცენტრის მიერ მატერიალური უზრუნველყოფით და ყოველგვარი დახმარების მიწოდებით. ამ ამხანაგების შეგნებულ, თავდადებულ და წარმატებითი მუშაობაზეა დამოკიდებული სოფელთან კავშირის სიმტკიცე და მომავალი.

საქართველოს გლეხობა თავის კონფერენციებზე ერთხმად აცხადებს თავის სოლიდარობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, სცნობს რა მას თავის ინტერესების ერთად ერთ დამცველათ.

ამასთანავე ერთად ის მიგვითითებს თავის საჭიროებებზე და მოთხოვნილებებზე, რომელთა დაკმაყოფილებისთვის ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული. გლეხობა უკმაყოფილოა ქალაქის მრეწველობის ნაწარმოებთა ფასების სიდიდით სოფლის ნაწარმოებთა ფასებთან შედარებით და აუცილებლად საჭიროა ამ მხრივ ერთგვარი წონასწორობის აღდგენა. ეს ერთი საუკეთესო საშუალებაა სოფლის მდგომარეობის გაუმჯობესების და დაკავშირების საქმეში. საბჭოთა რუსეთის მრეწველობა კიდეც გარკვეულ ნაბიჯებს სდგამს ამ მიმართულებით და ეჭვი არ არის, რომ ჩვენშიც არ დარჩება ის მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია მრეწველობის ნაწარმოებთა ფასების სიდიდით. ეს მდგომარეობა გარდამავალია, წონასწორობა სოფლის და ქალაქის ნაწარმოებთა ფასებში აუცილებლად აღდგენილ იქნება.

ყველა ზომები, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ღებულობს სოფლის მდგომარეობის გაუმჯობესების და მის კულტურის გზაზე დაყენებისათვის, აუცილებლად მიაღწევენ საბოლოო მიზანს. საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობის ექვსი წლის გამოცდილება ამის სრულ გარანტიას იძლევა. დროებითი დაბრკოლებები გადალახულ იქნებიან და ქალაქის და სოფლის მშრომელი ხალხი ხელი-ხელ ჩაკიდებული წავა საბოლოო იდეალების განსახორციელებლად, თავისუფალი შრომის სამეფოს საბოლოო განსამტკიცებლად.

ამხ. ლენინი ჩქარა დაუბრუნდება მუშაობას

მოსკოვი. 24 აგვისტო. პეტროგრადის საბჭოს პლენუმზე მოხსენების დროს შეკითხვაზე ლენინის ჯანმრთელობის შესახებ, ამხ. ზინოვიევმა განაცხადა, რომ მან ორი დღის წინათ ინახულა ვლადიმერ ილიჩი. მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ახლო ხანში ლენინი კვლავ დაუბრუნდება მუშაობას. პლენუმმა დაადგინა გაუგზავნოს ამხ. ლენინს მისალმების დეპეშა მასზე თავდასხმიდან 5 წლის თავის აღსანიშნავად.

რა მისცა კუნოს მთავრობამ გერმანიას

გერმანიის სახალხო მეურნეობის [illegible]შლა გიგანტური ნაბიჯით ხდება. [illegible]რკის კურსის დაცემამ გადააჭარბა [illegible]ლაზე უფრო პესიმისტურ „კალკულაციებს“. საზრდოობის უმთავრეს [illegible]განთა ნაკლულოვანება ფაქტია; [illegible]სების რევოლიუცია ყველგან აღ[illegible]ს იწვევს; საშუალო წოდების მო[illegible]ებს გაკოტრება მოელისთ; რე[illegible]ური ხელფასი განუწყვეტლივ [illegible]მა: ამ ჟამად ხელფასი უდრის [illegible]—1 ნახ. დოლარს კვირაში (წინაა[illegible] 70 დოლარისა, რომელსაც [illegible]ბს კვირაში კვალიფიციური მუშა [illegible]რიკაში). მცხოვრებთა ფართო მა[illegible] [illegible] მდგომარეობაში [illegible]ან და ისინი შეიპყრო სასოწარ[illegible]ილებამ: გამოსავალი არა სჩანს; [illegible] იციან რას მოუტანს მათ ხვალინ[illegible] დღე.

[illegible]ს ნიშნავს ასეთი მდგომ რეობა, [illegible] არის გამოწვეული იგი? მარქსის[illegible] მეთვალყურესათვის დღევანდელი [illegible]მარეობის პერსპექტივები ნათე[illegible] და [illegible] მხოლოდ მათი სა[illegible]ხო მეურნეობის კრიზისის დასა[illegible]ს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ [illegible]ოს კაბინეტი სწარმოებდა სამეურ[illegible] პოლიტიკის მძიმე ინდუსტრიის [illegible]რესების მიხედვით. ცხადია, ეს პოლიტიკა იყო არა მარტო კატასტროფიული მუშებისა, მოხამსახურეებისა, მოხელეებისა, წვრილ მწარმოებელთა და თავისუფალ პრუსიის პირთათვის, არამედ იგი მეტად ცუდ გავლენას ახდენდა საბითუმო ვაჭრობაზე და ნაწილობრივ დამმუშავებულ მრეწველობაზეც. გერმანიის ბურჟუაზიას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია თავიდან აიშოროს, ან შეანელოს კრიზისი, განსაკუთრებით თავიდან აიცილოს მთელი სამეურნეო და ფულის სისტემის დაშლა. მაგრამ კატასტროფის ტემპი და მისი სიგრძე-სიგანე, სრულიადაც არ იქნებოდა ისეთი, თუ სახელმწიფოს ცალმხრივი პოლიტიკის ნაცვლათ, რომელიც ემსახურებოდა მძიმე ინდუსტრიის ინტერესებს მცხოვრებთა ყველა სხვა ფენების ხარჯზე, რამაც ბილიონების ზარალი მიაყენა მსხვილ მრეწველობას, ეწარმოებია უფრო შორსმჭვრეტელი პოლიტიკა და თავის დროზე ანგარიში გაეწია მოვლენებისათვის.

მთავრობა, რომელიც იყო მსხვილი მრეწველობის ტყვეობაში, აწარმოებდა მის პოლიტიკას.

კუნოს სამინისტროს, ამ „სპეციალისტების კაბინეტს“, „სახალხო მეურნეობის წარმომადგენელთა“ კაბინეტს, რომელმაც შესცვალა ვირტის (დემოკრატების, ცენტრის, სოციალ-დემოკრატების) კოალიციონური სამინისტრო, მხურვალე სალამით შეეგებენ. საქმით კი გერმანიის ფულის სისტემის დაშლის პროცესი არასოდეს არ წასულა ისეთის აჩქარებული ტემპით, როგორც „სპეციალისტების“ სამინისტროს დროს, არასოდეს სიძვირეს და გაჭირვებას არ მიუღია ასეთი ფართო ხასიათი.

განა მარტო მთავრობას მიუძღვის ამაში დანაშაული?

11 აგვისტოს საფრანგეთის ჯარები შევიდენ რურის ოლქში. დაიწყო რურისათვის ბრძოლის პერიოდი. 11 ივლისისათვის, 6 თვის შემდეგ, საიმპერიო მთავრობას არ ჰქონდა შემუშავებული თავისი ფინანსიური პროგრამა, 7 თვეა გრძელდება ბრძოლა რურისათვის და მხოლოდ ეხლა იწყება უკვე დაგვიანებულ ღონისძიებათა განხორციელება. თვითეული უწყება თავისებურათ მოქმედებდა, აქამდის ზოგჯერ კიდეც ეწინააღმდეგებოდა სხვა უწყების პოლიტიკას. ლანგე ხეგემანმა, ცენტრის წარმომადგენელმა, მარკის კურსის დაცემის გამომრკვევ კომისიის თავმჯდომარემ, რომელიც ცნობილია თავდაჭერილობით, განაცხადა, რომ დანაშაულებრივად მოქმედებდა მთავრობაო. განცხადება მით უმეტეს დამახასიათებელია კუნოს სამინისტროსათვის, სადაც შრომის და ფინანსთა მინისტრები იყვენ ცენტრის პარტიის წევრები.

რურის კამპანიისათვის ფინანსიური დახმარება სწარმოებდა მხოლოდ და მხოლოდ ფულის, ქაღალდის ფულის გამრავლებისა და სახელმწიფო ვალის ხარჯზე.

მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯების 2 პროცენტი იფარება ამჟამად შემოსულ გადასახადებით, ამასთან ერთად შემოსავლის ერთ მესამედს შეადგენს ხელფასიდან გადარიცხვა. შემოსავლის კიდევ 40 პროცენტს იძლევა მოხმარების საგნების დაბეგვრა და სავაჭრო ოპერაციებზე დადებული გადასახადები. შემოსავლის კვალობაზე გადასახადები შეადგენენ ნომინალურად 300—400 პროცენტს. ნამდვილად კი არ შემოდის არც 3—4 პროც., რადგან გადასახადებს იხდიან ნაწილ-ნაწილად თვეობითა დაწლობით.

მარკის დაცემასა და სიძვირესთან ერთად სულ უფრო და უფრო მწვავდება ბაზარზე სასურსათო პროდუქტების ნაკლულოვანება. წვრილ-წვრილად მოვაჭრენი ვერ ბედავენ თავის საქონლის მიწოდებას არა მარტო ყოველდღიურად ფასების აწევის გამო — ისინი თავს იკავებენ მარაგის გაყიდვისაგან, რადგან ეშინიათ, რომ ვერ შესძლებენ აღებულ ფულით სამაგიერო საქონლის შეძენას.

გარდა ამისა, ქალაქებში შემჩნეულია მომარაგების სრული ნაკლულოვანება. რიგში ჩამდგარი ქალები მთელი საათობით დგანან მაღაზიების წინ, განსაკუთრებით სასურსათო მაღაზიების წინ.

თავისუფალი ვაჭრობის ნებადართვის გამო, კართოფილის დიდი პარტიები გაყიდეს არაყის გამომხდელმა ქარხნებმა. ამგვარად, მიუხედავათ კართოფილის კარგი მოსავლისა, მიმდინარე წელს კართოფილის სიმშილობაა. მთავრობა ვერაფერ ზომებს ვერ იღებს, მხოლოდ მოწოდებებს უგზავნის მიწის მუშებს დახმარების შესახებ.

სასურსათო კრიზისი განსაკუთრებით მწვავეა რურის ოლქში და ყველაზე მეტად დამშეულნი არიან სამრეწველო რაიონის მუშები.

ფულის მბეჭდავი მანქანები ვერ ასწრებენ ფასების ზრდის დაწევას და ყველგან ფულის ნიშნების დიდი ნაკლულოვანებაა. რეიხსბანკის (სახელმწიფო ბანკის) განყოფილებებში დგას ფულის მიმღებთა გრძელი რიგები. მოთხოვნილებათა ერთი ნაწილი შეიძლება იქნეს დაკმაყოფილებული, თუმცა ყოველდღე იბეჭდება ახალ-ახალი ბანკნოტები 2 ბილიონი (2.000 მილიარდი) მარკის რაოდენობით. უკანასკნელ ხანებამდე არ იშოვებოდა მსხვილი ფულის ნიშნები, ძალიან დიდ თანხებსაც 5, 10 და 20 ათასიან ფულის ნიშნებით ისტუმრებდენ, გამოშვებულია ხმარებაში 5 მილიონიანი ბანკნოტები. ამასთანავე რეიხსბანკმა შემოიღო ფულის ცირკულიაციის ინგლისური სისტემა: უშვებს სახელდახელოთ დამზადებულ ბანკნოტებს მოკლე ვადით ყალბი ფულის გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

მაგრამ საეჭვოა, რომ ისეთი დიდი მოთხოვნილებების დროს, რომელსაც რეიხსბანკს უყენებენ, შესაძლებელი იყოს 3—4 თვეში ბანკნოტების ზოგიერთი სერიების ხმარებიდან განდევნა. უფრო ჩქარა რეიხსბანკი იძულებული იქნება გამოაცხადოს ამ სერიების ვადის გაგრძელება.

ასეთია გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა.

სამეურნეო კრიზისი არის გერმანიის სამეურნეო ცხოვრების ახალი ხანის დასაწყისი და პოლიტიკური გამწვავება გერმანიის თანამედროვე მდგომარეობის სიმპტომია.

ფ.

კომუჯრედების საჯარო სხდომებს ასეთი ნაყოფი მოაქვს

პარტიისა და უპარტიო მასებს შორის კავშირის მნიშვნელობა საკმაოდ გაშუქებულია ჩვენს პრესაში. ვერც ერთი პარტია, რა-გინდ მაგარი და ძლიერი არ უნდა იყოს ის თავისი შემადგენლობით ვერ შესძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას და ქვეყნის მართვა-გამგეობას, თუ მას გვერდში არ ჰყავს ფართო მშრომელი უპარტიო მასა, რომელშიაც მისი ყოველი ნაბიჯი შესაფერ გამოხმაურებას უნდა ჰპოვებდეს და რომელიც აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობაში.

სწორედ ამიტომ აქცევს ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას უპარტიოთა შორის მუშაობას. ასეთ მუშაობის საწარმოებლათ, ის მრავალ საშუალებებს ხმარობს, და ერთ ერთ ასეთ საშუალებათ უჯრედის ღია, საჯარო სხდომების მოწვევა არის მიჩნეული.

წინად, ჩვენი უჯრედების მხოლოთ დახურული სხდომები ეწყობოდა, რომლებსაც ვერ ესწრებოდნენ უპარტიონი, ისინი არ იცნობდენ უჯრედის მუშაობას, მათ ვერ წარმოედგინათ რას აკეთებდენ კომუნისტები ამდენ კრებებზე და სხდომებზე და ძლიერ აინტერესებდათ თუ რა ჰქონდათ მათ ამდენი „საიდუმლო“, ამ უკანასკნელ სიტყვას ხშირად გაიგონებდით სოფლის გლეხობაში... და ეს ფრიად არა სასურველ შთაბეჭდილებას ახდენდა მასაზე. ჩვენი ამხანაგები გამიჯნული იყვენ დანარჩენი ხალხისაგან. მათ მხოლოდ ერთმანეთში ჰქონდათ საქმე, უპარტიო მასამ არ იცოდა ის, რომ უჯრედის კრებებზე დამსწრე ამხანაგები ღებულობდენ პოლიტიკურ ცოდნა-განვითარებას მოხსენებების მოსმენით და სხვა საშუალებებით, არ იცოდა, რომ იქ ირჩეოდა მთელი შრომელი მასისათვის საინტერესო საკითხები. ამის გამო არ იყო პარტიულებსა და უპარტიოებს შორის ის კავშირი, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს მუშაობის ნაყოფიერებისათვის. ამას მიექცა ყურადღება და შემოღებულ იქნა პერიოდულად მოწვევა უჯრედის საჯარო სხდომებისა, რომლებსაც უპარტიოები ესწრებიან, ისმენენ მოხსენებებს და საკითხების გარჩევაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

უჯრედის ღია კრებებზე კეთდება მოხსენებები მიმდინარე მომენტზე და სხვა მნიშვნელოვან კითხვებზე; იქ ირჩევა, როგორც პარტიის წევრთათვის, ისე უპარტიოთათვის საინტერესო პრაქტიკული საკითხები. ამით უპარტიო ამხანაგები იძენენ პოლიტიკურ განვითარებას, ერკვევიან მდგომარეობაში და უჯრედის კრების დღიურ წესრიგში დასმულ კითხვების გარჩევაში შესაფერ აქტიობას იჩენენ.

ყოველივე ამან დიდი ნაყოფი მოიტანა და მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა. მშრომელი უპარტიო მასა დაუკავშირდა პარტიას. **გლეხები დღეს სოფლის უჯრედებს თავის უჯრედებათ სთვლიან.** მათთვის უკვე აღარ წარმოადგენენ „შეიარაღებული“ „პარტიის კაცები“ რაღაც განსაკუთრებულ ადამიანებს. ამა თუ იმ წარმოების და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი მაგრათ არიან დაკავშირებული უჯრედებთან და მათ საქმიანობაში მონაწილეობას იღებენ.

როგორც უპარტიო გლეხები, ისე მუშები პარტიის წევრებზე არა ნაკლებ ზრუნავენ დღეს უჯრედებზე, სისტემატიურათ ესწრებიან კრებებს და, რაც უმთავრესია ფხიზლათ ადევნებენ თვალყურს, რომ პარტიაში არ შეიპაროს ულირსი და არა საიმედო პიროვნება. როდესაც უჯრედის საჯარო სხდომაზე ირჩევა პარტიაში ახლათ შესვლის მსურველის კითხვა — მის დადებითი და უარყოფითი მხარეების აღნიშვნაში მხურვალე მონაწილეობას იღებენ დამსწრე უპარტიონი, კამათობენ, გამოაქვთ დასკვნები და შემოაქვთ წინადადებები: „ის არ არის ღირსი ჩვენი პარტიის წევრობისა“, „ეს ამხანაგი ჩვენი კომუჯრედის დავალებებს ყოველთვის პირნათლად ასრულებდა, ის მისაღებია“ და სხვა ასეთები. ის ფაქტი, რომ უპარტიო მასსა ჩვენს პარტიას და უჯრედს **თავის პარტიას და უჯრედს** უწოდებს — დიდმნიშვნელოვანია. ეს იმას ნიშნავს, რომ ის დაუკავშირდა კომუნისტურ პარტიას და ერთად-ერთ თავის ინტერესების დამცველ პარტიათ — ის მიაჩნია.

ამის ერთი მაგალითი ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის უჯრედია. საჯარო სხდომებს თითქმის მთელი მუშა-მოსამსახურენი გამოუკლებლივ ესწრებიან. უჯრედის ღია სხდომები ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის დარგში მომუშავეთა საზოგადო კრებებათ იქცევიან, რომლებიც თითეულ საკითხს, პარტიული იქნება ის თუ სხვა ხასიათის, დიდი ინტერესით ეკიდებიან.

საჰაერო ფლოტის კვირეული ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო, როცა ფ. ტელ. და ტელ. მუშა-მოსამსახურეებმა კვირეულის შესახებ წინასწარი მოხსენების მოსმენისათანავე ერთ ხმად დაადგინეს — გადადვან ფლოტის სასარგებლოთ ივლისის თვის ჯამაგირიდან ერთი დღის ქირა. ამასთანავე დაავალეს ყველა წევრებს, ამის გარდა, შესაძლებლობის ფარგლებში მიიღონ მხურვალე მონაწილეობა კვირეულის ჩატარებაში და ფლოტის სასარგებლოთ გაიღონ თავიანთი წვლილი შეწირულებათა გაღებით და სხვა საშუალებებით. საზოგადოთ — უჯრედის ყოველივე მოწოდება ფართო გამოძახილს და გამოხმაურებას ჰპოულობს მუშა-მოსამსახურეებში.

საჯარო სხდომებზე ამ უჯრედში ძლიერ ხშირათ ინიშნებიან მომხსენებლებათ უპარტიოები.

პარტიასთან კიდევ უფრო მეტათ დაკავშირების და პოლიტიკური განვითარების მიღების მიზნით დაარსებულია სამეცადინოთ უპარტიო პოლიტიკური წრე, რომელიც სისტემატიურათ იკრიბება ყოველ კვირეულათ და აწარმოებს მეცადინეობას ასე არის დაკავშირებული უჯრედთან უპარტიო მასსა. დაახლოვებით ასეთივეა მდგომარეობა დანარჩენ უჯრედების უმრავლესობაში.

დიდი ხანი არ არის, რაც შემოღებულია ღია სხდომების სისტემა და ამან ასეთი ნაყოფი მოგვცა. დღეიდან, როდესაც უფრო მეტი ყურადღება ექცევა ამ ღია სხდომებს და გაძლიერებულია ამ მხრივ ჩვენი მუშაობა კიდევ მეტ ნაყოფიერ შედეგს მივიღებთ ამისაგან. საჭიროა საერთო ხასიათი მიიღოს ასეთმა პრაქტიკამ მთელს რესპუბლიკაში, გაძლიერდეს მუშაობა ამ მიმართულებით.

პ. ტ.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრებისათვის

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განმახორციელებელ საუწყებათაშორისო კომისიის განმარტება.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთების პროექტის შესადგენად საჭირო მასალების დამუშავების დროს საუწყებათაშორისო კომისია სცდილობდა გამოერკვია სახნავის რაოდენობა და საქონლის რიცხვი ამიერ-კავკასიის თვითეულ რესპუბლიკაში.

სწორის, ცოტათ თუ ბევრათ ზედმიწევნითი ცნობების შეგროვება, რომელიც ეხებოდეს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს, არ მოხერხდა; სახელმძღვანელოდ აღებული ცნობები საქართველოს შესახებ შეეხებოდა 1917 წელს, ხოლო აზერბეიჯანისთვის — 1921 წელს, სომხეთის შესახებ ცნობები მოწოდებულ იქმნა სომხეთში მომუშავე ფინანსთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელთაგან. ყველა ეს ციფრები უეჭველია არ შეეფერებოდა სინამდვილეს და იგი უნდა შეფასებულიყო მხოლოდ როგორც საორიენტაციო მასალა.

სწორედ ამნაირად შეხედა მას საუწყებათაშორისო კომისიამ ასაკრებ მთლიან გადასახადის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის გამოანგარიშების დროს.

მიწის რაოდენობის მიხედვით საშუალო ჯგუფის მეურნეობად მიღებულ იქმნა მესამე ჯგუფი (2 დან 3 დესეტინამდე), საქონლის მიხედვით მეორე (3-დან 5-მდე სული მსხვილფეხა საკლავ საქონელზე გადატანით); საშუალო განაკვეთებად ამის მიხედვით აღებულ იქმნა: განაკვეთი 3 ფ. და 20 გირვანქა დესეტინაზე 45-50 ფუთის მოსავლიანობით სახნავისთვის და 10 გირვანქა საქონლისათვის.

ამ განაკვეთებისა და ზემოთმოყვანილ ცნობების მიხედვით სახნავის რაოდენობისა და საქონლის რიცხვის შესახებ საუწყებათაშორისო კომისიამ მოსალოდნელი გადასახადი ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკებში ვარაუდით განსაზღვრა შვიდ მილიონ ფუთამდე ხორბლის ერთეულით.

ამ წინასწარმა, სავარაუდო ხარჯთაღრიცხვამ ბევრს საბაბი მისცა ეფიქრა და ემტკიცებინა, რომ ხორბლის ერთეულის სწორედ ეს რაოდენობა ფულად და ნატურით — უნდა იქმნეს აკრეფილი ამა თუ იმ რესპუბლიკაში და საერთოდ ამიერ-კავკასიაშიო. პრესაში კი ერთ-ერთ წერილში ნათქვამიც კი იყო, რომ დეკრეტმა განსაზღვრა გადასახადის ის რაოდენობა (7.000.000 ფუთი), რომელიც უნდა აიკრიფოს და სახალხო სასურსათო კომისარიატმა და ფინანსთა სახალხო კომისარიატმა სწორეთ და ზედმიწევნით უნდა განაწილონ ეს რაოდენობა რესპუბლიკათა და მაზრათა შორისო.

საუწყებათაშორისო კომისიამ, როგორც ნათქვამია ზემოდ, თავის სახარჯთაღრიცხვო გამოანგარიშების დროს სახნავისა და საქონლის მინიმალური სავარაუდო რაოდენობა აიღო.

თუ აღნუსხვამ ამა თუ იმ რესპუბლიკაში იმაზე უფრო მეტი სახნავი და საქონელი აღმოაჩინა, რომელსაც ამას ვარაუდობდა საუწყებათაშორისო კომისია და რომლის მიხედვითაც მან გამოიყვანა დაახლოვებითი სახარჯთაღრიცხვო ჯამი 7.000.000 ფუთი, მაშინ როგორ გავანაწილოთ სახარჯთაღრიცხვო ჯამი? გვერდი ავუქციოთ განსაზღვრულ გადასახადის განაკვეთებს, თუ საგანგებოდ ამისათვის შევამციროთ მოსავლიანობის ხარისხები ისე, რომ იგი არ შეეფერებოდეს სინამდვილეს?

მთლიან-სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საფუძველთა არა სწორეთ განმარტებისათვის ბოლოს მოსაღებად და მომავალში მის პრინციპების დამახინჯების ასაცილებლად ამიერკავკასიაში მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განმახორციელებელი კომისია მოვალედ სთვლის თავს განმარტოს შემდეგი:

1. ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს არც ერთს თავის დეკრეტში და არც სახალხო სასურსათო კომისარიატს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს არც ერთ თავის დადგენილებაში და დებულებაში არ დაუწესებიათ ასაკრებ გადასახადის განსაზღვრული ჯამი.

2. მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არის გადასახადი შეწერილობითი და არა ბეგარა-განაწილება, რის გამოც სახალხო სასურსათო კომისარიატს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს არ განუსაზღვრავთ და არ დაუსახელებიათ და არც შეეძლოთ განესაზღვრათ, დაესახელებიათ და გაენაწილებინათ გადასახადის ის ჯამი, რომელიც უნდა შეგროვდეს ამიერ-კავკასიის ამა თუ იმ რესპუბლიკაში, ამა თუ იმ რაიონში და მაზრაში.

3. საუწყებათაშორისო კომისიამ განსაკუთრებით სახნავთა აღრიცხვის მიზნით წინასწარ ვარაუდით, მის მიერ განზრახ შემცირებულ ცნობების მიხედვით, გამოიანგარიშა წინასწარი ჯამი, რომლის მიღებაც მინიმალურად მოსალოდნელი იყო მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადში; ეს ჯამი როგორც ხარჯთ-აღრიცხვა, როგორც წინასწარი ვარაუდი, არავისთვის სავალდებულო არ არის და არც შეიძლება სავალდებულო იყოს.

4. მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი-შეწერაა, რომლის რაოდენობაც ამა თუ იმ მეურნეობისათვის დამოკიდებულია მის შეძლებასა და გადასახადის უნარიანობაზე, რაიც ირკვევა დასაბეგრ ობიექტების აღნუსხვით. ცხადია, რომ ვიდრე აღნუსხვა დამთავრებული არ არის, ვიდრე ნაანგარიშევი არ არის აღნუსხვის ცნობები და ვიდრე გამოანგარიშებული არ არის გადასახადის განაკვეთები მაზრებზე და რესპუბლიკებზე, შეუძლებელია გამორკვევა, თუ რამდენი გადასახადი უნდა აიკრიბოს მაზრაში, და რესპუბლიკაში.

5) გადასახადის ჯამმა — 7,000,000 ფუთმა ხორბლეულის ერთეულმა, რომელიც სავარაუდოთ იყო ნაანგარიშევი საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და რომელიც წარმოადგენდა მხოლოდ ერთს მომენტს გადასახადის განკვეთებისა და მის ხარისხების პროექტის დასასაბუთებლად, უკვე ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა დაჰკარგა მას შემდეგ, რაც ეს განაკვეთები დაამტკიცა ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისართა საბჭომ.

6. ზემოხსენებულ მიზეზთა გამო არავინ იცის და არც შეიძლება იცოდეს, თუ რამდენი ფუთი ხორბლეულის ერთეული უნდა შემოვიდეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ცენტრში მიღებული იქნება რესპუბლიკებისაგან სახნავისა (გადატანით) და საქონლის (გადატანით) რაოდენობის მაზრობრივი ჯამები და ცნობები მეურნეობათა ჯგუფების შესახებ, შესაძლებელი იქნება დაწესებულ მოსავლიანობის ხარისხის მიხედვით, გამოანგარიშება თვითეულ მაზრაში ასაკრებ გადასახადის ჯამისა და თქმა იმისა, გადასახადის საერთო ჯამი ამიერ-კავკასიაში მეტი იქნება თუ ნაკლები იმ ჯამზე, რომელიც საუწყებათაშორისო კომისიამ სახარჯთ-აღრიცხვო წესით წინასწარ ვარაუდით გამოიანგარიშა.

მთლიან-სასოფლო სამეურნეო გადასახადის განმახორციელებელ კომისიის თავმჯდომარე **ერქომაიშვილი.**

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას ცნობები“)

გერმანიის ამბები

გერმანიის კომპარტიაში.

კომპარტია არის ერთად-ერთი რევოლიუციონური პარტია.

ბერლინი. 23 აგვისტო. სოციალ-დემოკრატიულ დამოუკიდებელ პარტიის მუშა-წევრებისადმი მიმართვაში, **გერმანიის კომპარტიის ბერლინის ბიურო მოუწოდებს მუშებს გადავიდენ კომპარტიის რიგებში, რომელიც არის ერთად-ერთი რევოლიუციონური პროლეტარული პარტია.** მოწოდება სოციალ-დემოკრატებს „მოღალატურ პარტიას“ უწოდებს, დამოუკიდებელთ კი — არსებობის უნარს მოკლებულს.

კომპარტიის რიგები იზრდება.

ბერლინი. 23 აგვისტო. გრძელდება გერმანიის კომპარტიაში ახალი წევრების შესვლა, **გადადიან უმთავრესად გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საოლქო სექციებიდან და დამოუკიდებელ სოციალისტების პარტიიდან. ბუზის შემდეგ კომუნისტების მხარეზე გადავიდა ცნობილი სოციალ-დემოკრატი ჰანს შტეინი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ფაბრიკა-ქარხნების მოძრაობაში.** მასთან ერთათ გადავიდა 8 სოც.-დემოკრატი მუშა, რომელნიც ხსნიან თავის გადასვლას გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პოლიტიკით, რომელიც ეწინააღმდეგება მუშების ინტერესებს და აგრეთვე სოციალ-დემოკრატების მთავრობაში მონაწილეობით.

ახლად გაკომუნისტებულები უწოდებენ გერმანიის კომპარტიას მარქსისტულ თვალსაზრისის ერთად-ერთ პოლიტიკურ წარმომადგენელს. **კომპარტიის საშუალო—რეინის ოლქის ორგანიზაციის წევრთა პარტეიტაგში გამოირკვა, რომ კომპარტიის სექციის წევრთა რიცხვი ამ უკანასკნელ ნახევარი წლის განმავლობაში გაორკეცდა.**

გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა.

ბერლინი. 23 აგვისტო. გუშინ რეიხსკანცლერი შტრეზემანი, ფინანსთა მინისტრ ჰილფერდინგისა და სახალხო მეურნეობის მინისტრ რეინერის თანდასწრებით, ესაუბრა სხვადასხვა პარტიების ლიდერებს გერმანიის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ.

მთავრობა გერმანიის მდგომარეობას მეტათ სერიოზულათ სთვლის და მას განზრახვა აქვს გადამჭრელ ზომებს მიმართოს გერმანიის ეკონომიურ და ფინანსიურ კრახისაგან გადასარჩენათ.

„ეხლანდელი მთავრობა-განაცხადა შტრეზემანმა, — უკანასკნელი მთავრობაა, რომელიც შესძლებს ამ მიზნის განხორციელებას კონსტიტუციის გზით“. სხვანაირათ რომ ვსთქვათ, შტრეზემანი გრძნობს დიქტატურის აუცილებლობას (მარცხნიდან თუ მარჯვნიდან) იმ შემთხვევაში, თუ დიდი კოალიცია დაიშლება.

ცხოვრება მოდუნდა.

ბერლინი. 23 აგვისტო. დეფიციტის განუწყვეტელ ზრდის გამო, საქალაქო რკინისგზის მიმოსვლა ბერლინში შეწყდა. ყველა მოსამსახურეები 7 ენკენისთვისათვის დათხოვნილი იქნებიან, რაც გააძლიერებს უმუშევართა რიცხვს რამდენიმე ათეული ათასით.

ცოცხალ სიტყვას ახრჩობენ.

ბერლინი. 23 აგვისტო. ვიურტემბერგის მთავრობამ აკრძალა შტუდგარტში 25 აგვისტოსათვის დანიშნული კომპარტიის ყრილობა და სახელმწიფო მოსამსახურეთა კონფერენცია.

საგანგებო ზომები მარკის სტაბილიზაციისათვის.

ბერლინი. 23 აგვისტო. გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო განკარგულების მთავარი მუხლი არის უცხო ვალიუტის ფონდის დაარსება მარკის სტაბილიზაციისა და გერმანიაში სურსათის შემოზიდვის უზრუნველყოფისათვის. უცხო ვალიუტა უნდა ჩააბარონ ყველა იმ პირებმა, რომელნიც იხდიან გადასახადს შემოსავლის კვალობაზე. პროექტს დამარცხება ელის, რადგან გადასახადი გაწერილი იქნება პირადი შეფასების პრინციპით, კაპიტალისტები კი არასოდეს სისწორით არ აჩვენებენ, რამდენი აქვთ მათ ნამდვილათ უცხო ვალიუტა. ჩაბარებულ უცხო ვალიუტის მაგივრათ პატრონი მიიღებს ოქროს სესხის ობლიგაციებს.

ბირჟის წრეები მთავრობის განკარგულებას უარყოფით ეპყრობიან. დოლარის კურსი უმნიშვნელოთ დაეცა. ფინანსიურ წრეების ორგანო „ბერლინერ ცეიტუნგ“-ი აცხადებს, რომ უცხო ვალიუტის კონფისკაცია მიზანს ვერ მიაღწევს: უცხო ვალიუტა წინადებურათ ძვირათ ფასობს ბირჟაზე.

შტრეზემანი კაპიტალისტებისაგან ელის დახმარებას.

ბერლინი. 23 აგვისტო. მთავრობის განკარგულების გამოცემა უცხო ვალიუტის შესახებ გვიანდება, რადგან შტრეზემანის კაბინეტმა არჩია საკითხი განიხილოს კერძოთ, მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის წარმომადგენლებთან ერთად. მოლაპარაკება დაიწყო დღეს. მთავრობის პრესა ამტკიცებს, რომ მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს და ამბობს, რომ ხელისმოწერა ოქროს სესხზე წარმატებით მიდისო.

რეპრესიებით იმუქრებიან.

ბერლინი. 23 აგვისტო. ნახევრათ ოფიციალური პრესა, ეყრდნობა რა მდგომარეობის სერიოზულობას რეპრესიებით იმუქრება იმათ წინააღმდეგ, ვისაც აქვს შენახული უცხო ვალიუტა; პრესა ბრალსა სდებს მათ პატრიოტიზმის უქონლობაში და მოუწოდებს სავაჭრო ფირმებს, და აგრეთვე კერძო პირებს, რაც შეიძლება დაჩქარებით შემოიტანონ უცხო ვალიუტა.

ექსპერტების აზრით, გერმანიის კაპიტალისტებს აურაცხელი უცხო ვალიუტა აქვთ დაგროვილი. ეს ფულები ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში ნაწილობრივ გადაგზავნილი იყო საზღვარგარეთ, ნაწილი კი ხელშეკრულებების დადების დროს საზღვარგარეთ შეტანილი იყო უშუალოთ უცხოელების მიერ უცხოეთის ბანკებში გერმანელ კომერსანტების სახელზე.

საკონტრიბუციო საკითხი

გერმანიის პრესის აზრი.

ბერლინი. 23 აგვისტო. გერმანიის პრესა, აღნიშნავს რა პუანკარეს ნოტის თავაზიან კილოს, ამბობს, რომ ნოტაში არ არის გამოხატული საფრანგეთის სურვილი სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტისათვის ხელის შეწყობის შესახებ. გაზეთი „გერმანია“ ამბობს: „შეიცვალა კილო და არა შინაარსი“.

„ცაიტ“-ს და „ბერლინერ ტაგებლატ“-ს ნოტის მეგობრული კილო აწუხებს. ნოტის თავაზიანი კილო მალავს მეტს საშიშროებას, ვიდრე წინანდელი გულახდილობა: **პუანკარე ცდილობს განაგრძოს მოლაპარაკება ინგლისთან, დრო მოიგოს და აიძულოს გერმანია საფრანგეთთან უშუალო მოლაპარაკება დაიწყოს.**

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი კატეგორიულათ აცხადებს, რომ გერმანიას არ შეუძლია დათანხმდეს საფრანგეთის მიერ მოთხოვნილ გარანტიებზე, რომლებიც მდგომარეობს რურის ნახშირის წარმოებისა და გერმანიის მიერ ექსპორტისათვის ანაკრეფ უცხოეთის ვალიუტის ნაწილის რკინის გზათა საერთაშორისო საზოგადოებებისათვის გადაცემაში. ასეთი გარანტიების მიცემა არღვევს გერმანიის სუვერენულ უფლებებს რურსა და რეინის ოლქში.

ყველაზე უფრო იმედიან პასუხს იძლევა „ფორვერტს“-ი, რომელიც ფიქრობს, რომ ნოტა სინჯავს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების გზას რეპარაციების მოსაგვარებლათ და რურის საკითხის ლიკვიდაციისათვის. გერმანიის ნაციონალისტების ორგანოები ფიქრობენ, რომ ნოტა არაფერს რეალურ რამეს არ იძლევა და

საქართ. პარტიულ საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორისაგან (ყოფილი გაზტრესტი),
რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 5-43.

ენკენისთვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელისმოწერა ქალაქში შინ მიტანით	4.000.000
" " ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	4.500.000
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	3.000.000
ერთი ეკზემპლიარი	175.000

ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:

თვიური ხელის მოწერა	700.000
ერთი ეკზემპლიარი	400.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს 1 ენკენისთვიდან შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

0—1

ორშაბათს, 27 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე,
სახალხო სახლში,
ქორესის ქუჩაზე (ყოფ. კირკის ქ.)
მოწვეულია

ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:
1. ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა. მომხსენებელი ვ. მესხი.
2. სახალხო განათლების განყოფილების ანგარიში. მომხს. ვ. ქაცარავა.

დასწრება საბჭოს ყველა წევრებისა სავალდებულოა.

581—2—2 **პრეზიდიუმი.**

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი
აცხადებს

კომუნალურ სექციაში ჩაწერილ საბჭოს წევრთა საყურადღებოთ, რომ სექციის სხდომა, რომელიც დანიშნული იყო 20 აგვისტოსათვის და არ შესდგა ჩაწერილ წევრების გამოუცხადებლობის გამო, გადაიდო 27 აგვისტოსათვის საღამოს 6 საათზე.

დასწრება სექციაში ჩაწერილ ყველა წევრებისათვის, სავალდებულოა.

(კრ. 583 1—1) **პრეზიდიუმი.**

რომ გერმანიამ ნოტაზე რურში წინააღმდეგობის გაძლიერებით უნდა უპასუხოს „როტეფანე“ ამბობს, რომ საფრანგეთის ნოტა წარმოადგენს წინადადებას შტრეზემანის მთავრობის მიმართ გერმანიის ავსტრიის დაგვარათ საფრანგეთის კოლონიათ გადაქცევის შესახებ. მაგრამ საფრანგეთის მიერ წინადადებულ ამ შეთანხმების განხორციელებას არ დაუშვებენ საფრანგეთის და გერმანიის კომუნისტები, საჭიროა ბრძოლა. გერმანიის მუშათა კლასი ნებაყოფლობით არ დასთმობს გერმანიის ტერიტორიის არც ერთს მტკაველს და არც ერთ ეროვნულ უფლებას.

ინგლისის კაბინეტის აზრი საფრანგეთის ნოტის შესახებ.

ლონდონი. 23 აგვისტო. ბალდვინის ლონდონში დაბრუნების შემდეგ მოწვეული იყო კაბინეტის პლენარული სხდომა სარეპარაციო საკითხში ინგლისის ძირითად პოლიტიკის გასარჩევათ. თუ გამოირკვევა ინგლისის დამოუკიდებელი პოზიცია ამ საკითხში, მოწვეული იქნება პარლამენტის საგანგებო სესია.

კომპეტენტურ პირების ცნობით პუანკარეს ნოტას არ შეუცვლია ინგლისის მთავრობის თვალსაზრისი რეპარაციებისა და რურის ოკუპაციის საკითხებზე. პუანკარეს ფინანსიური წინადადებები მიჩნეულია სრულიად მიუღებლათ. პუანკარეს დაპირება ოკუპაციის რეჟიმის შემსუბუქების შესახებ მოკლებულია რაიმე ღირებულებას, ვინაიდან საფრანგეთმა იმავე დროს განაცხადა, რომ ის არ გაანთავისუფლებს რურს, ვიდრე რეპარაციები გადახდილი არ იქნება. ინგლისის კაბინეტის აზრით, მხოლოდ ექსპერტთა საერთაშორისო კომისიის ზედმიწევნითი გამოკვლევა შეუწყობს ხელს სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტას.

ყველა იმედებს ბალდვინის და პუანკარეს შეხვედრაზე ამყარებენ.

ლონდონი. 25 აგვისტო. ლონდონის გაზეთები გაცხარებით არჩევენ იმას, თუ რა შედეგი მოჰყვება ბალდვინის და პუანკარეს მოლაპარაკებას, რომელიც უნდა მოხდეს მომავალ კვირაში. გაზეთები ეძებენ ნოტაში ისეთ ადგილებს, რომელიც იძლევა იმედს პრემიერების შეხვედრის სასურველად დამთავრებისათვის.

„ტაიმსი“ ფიქრობს, რომ ეხლანდელ გზას მივყავართ განადგურებისაკენ და იმედს გამოსთქვამს, რომ პრემიერების თათბირი გამოძებნის გარანტიებს კონტრიბუციის გადახდისათვის და დაუბრუნებს ევროპას კეთილდღეობას.

„ვესტმინსტერ გაზეტ“-იც ხედავს პრემიერების შეხვედრაში „იმედის ჩანასახს“.

შტრეზემანის სიტყვა.

ბერლინი. 25 აგვისტო. სადილზე, რომელიც გაუმართეს გერმანიის მრეწველობის და ვაჭრობის წარმომადგენლებმა კანცლერ შტრეზემანს, უკანასკნელმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა. კანცლერმა უკუაგდო საყვედური იმაზე, რომ გერმანიამ თვითონ გამოიწვია ქვეყნის ეკონომიური და სასურსათო მდგომარეობის გართულება, რაც დასტურდება ვაშინგტონის ეკონომიურ ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებით, რომელმაც სამართლიანად აღნიშნა ყველაფერი, რა ნაბიჯებიც გერმანიამ დღემდის გადადგა თავის საკონტრიბუციო ვალდებულებათა შ-ე სასრულებლად. შტრეზემანმა მოიგონა გერმანიის მთავრობის 7 ივლისის მემორანდუმი, რომელზედაც მოკავშირეებს დღემდისაც არ მოუციათ პასუხი. ამ მემორანდუმში აღნიშნული წინადადებანი ბევრად აღემატება იმას, რაც გერმანიამ უნდა შეასრულოს ვერსალის ხელშეკრულების თანახმად და შეიცავს მაქსიმუმს იმისას, რის მიცემაც შეუძლია გერმანიას მთელი თავისი ძალების უკიდურესი დაჭიმვით. ამ წინადადებათა თანახმად, გერმანიას განზრახული ჰქონდა „გარანტიებში“ მონაწილეობა მიეღებინებია მთელი თავისი სახალხო მეურნეობისათვის. აღნიშნა რა, რომ საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოცემულ „ყვითელ წიგნში“ გერმანიის ეკონომიური შესაძლებლობანი ზედმეტად არის შეფასებული, შტრეზემანმა განაცხადა, რომ გერმანიის დღევანდელი მთავრობა მზადაა მხარი დაუჭიროს ძველი კაბინეტის წინადადებებს იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთს გულწრფელად სურს მიიღოს გერმანიისათვის ხელსაყრელი გარანტიები მორატორიუმის ვადის გასვლის შემდეგ. რა თქმა უნდა არა რურის და რეინლანდის ჩამოშორებით გამოინახება გზა შეთანხმებისათვის. რურის ოლქის თუნდაც დროებით დათმობა საწინდრის სახით, რეინლანდის რკინის გზების და სხვა და სხვა მაღაროების და ქონების გადაცემა,—როგორც გათვალისწინებულია საფრანგეთის ნოტაში, არ შეიძლება ჩაითვალოს საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრის საფუძვლად. შემდეგ შტრეზემანმა გამოსთქვა კმაყოფილება პუანკარეს განცხადებით იმის შესახებ, რომ იგი არ ემსახურება არც პოლიტიკურ და არც ანექსიონისტურ მიზნებს გერმანიის მიმართ, მაგრამ ამ განცხადებას არ ეთანხმება ნოტაში აღნიშნული საკითხის გადაჭრის საშუალება, რადგან ამ უკანასკნელის თანახმად რეინლანდი და რური ჩაყენებული იქნება პოლიტიკურად და ეკონომიურად განსაკუთრებულ რეჟიმში. გერმანიის მთავრობა მაინც იმედოვნებს, რომ მოკავშირეთა საერთო შეთანხმებით გერმანიასთან, გამონახული იქნება გზა, რომელიც შეათანხმებს კრედიტორ სახელმწიფოების მოთხოვნილებებს გერმანიის სუვერენიტეტთან. თავისი სიტყვა შტრეზემანმა დაასრულა განცხადებით, რომ საჭიროა მოხდეს შეთანხმება ყველა სახელმწიფოებს შორის და დაცულ იქნეს მათ შორის კულტურული ურთიერთობა. „ევროპაში, სთქვა შტრეზემანმა, ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან კეთილდღეობა და ცივილიზაცია, ან დაღუპვა და ქაოსი“.

„ერნუველი“ შტრეზემანის სიტყვის შესახებ.

პარიზი. 25 აგვისტო. შტრეზემანის სიტყვის გამო, გაზ. „ერნუველი“ ამბობს: „შტრეზემანის სიტყვა იძლევა ფართო ასპარეზს ოპტიმისტური ფიქრებისათვის და სხვა არაფერი“.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეა.

ვენა. 23 აგვისტო. ტირასპოლის კონფერენციის რუმინეთის დელეგაციის წევრმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ რუსეთის საერთო მდგომარეობა შესამჩნევათ გაუმჯობესდა. სურსათის მომარაგება სათანადო სიმაღლეზეა. საბჭოთა მთავრობის მდგომარეობა გამტკიცდა რადგან მას მხარს უჭერს მოსახლეობის უმრავლესობა.

კარახანის შეხვედრა.

პეკინი 23 აგვისტო. მუკდენიდან მიღებული ცნობებით, კარახანს თბილად შეხვდა ჩჟანცზო—ლინი და მთელი ქალაქის მოსახლეობა. გაზ. „კონგ-ცი ბაო“ სწერს: **„კარახანი რუსეთის პირველი დესპანია, რომელსაც ჩინეთის ყველა კლასები ასეთის სიხარულით შეეგებნენ“.** პეკინში საზოგადო დაწესებულებათა კრებები მოხდა, სადაც იხილავდნენ საკითხს კარახანის საზეიმო მიღების შესახებ.

რუსეთ-ლატვიის ტრანზიტის განვითარება.

რიგა. 23 აგვისტო. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანი წარმომადგენლის (ლატვიაში) არალოვის საპასუხო ნოტაში ლატვიის მთავრობისადმი ლატვიის საშუალებით რუსეთის ტრანზიტის განვითარების პირობების შესახებ, ნათქვამია, რომ ლატვიის რკინის გზებზე არსებული მაღალი ტარიფები ხელს უშლის ტრანზიტის საკმაოდ განვითარებას. ამიტომ სასურველია კიდევ იქნეს გადასინჯული საკითხი ტარიფების შესახებ.

ნოტა კმაყოფილებით აღნიშნავს ლატვიის მთავრობის განზრახვას გააღრმავოს რიგის და ვინდავის ნავთსადგურები და აღადგინოს კრეიცბურგის ხიდი და სურვილს გამოსთქვამს იქნეს კონკრეტული წინადადება ვინდავის ელევატორის იჯარის საკითხის შესახებ.

რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების განახლების მოლოდინში.

ტოკიო. 23 აგვისტო. პრესის ცნო-ზაციები.

ბის მიხედვით, კავაკამიმ (გარეშე საქმეთა მინისტრმა) გაუგზავნა მუკდენში კარახანს მისასალმებელი დეპეშა. დეპეშაში აღნიშნულია, რომ საკითხის მოუგვარებლობა საიჯარო გადასახადის შესახებ, რომელიც ეკუთვნის რუსეთს იაპონიის თევზის მრეწველებისაგან წარსული წლებისათვის, ცუდ გავლენას ახდენს დიპლომატიურ ურთიერთობის განახლებაზე რუსეთ-იაპონიის შორის.

პრესა ფიქრობს, რომ ამ დეპეშამ შესაძლებელია მიგვიყვანოს მოლაპარაკების დაწყებამდე ორთავე მხარეს შორის, რადგანაც თევზის ჭერის საკითხი ერთხელ უკვე იყო მოლაპარაკების დაწყების საბაბი კავაკამის და იოფეს შორის.

რუსეთის ფუტბოლისტები შვეციაში.

სტოკჰოლმი. 23 აგვისტო. რუსეთის ფუტბოლისტების გამგზავრების დროს ქრისტიანიაში, „პოლიტიკენ“-ის რედაქციის წევრებმა მიართვეს მათ წითელი დროშა ს. ს. რ. კ. ინიციალებით. დამსწრეები მღეროდნენ ინტერნაციონალს რუსულ და შვედურ ენაზე.

„საფრანგეთ-რუსეთის ცენტრალური გაერთიანების“ წარმომადგენელი მოსკოვში.

მოსკოვი. 24 აგვისტო. მოსკოვში ჩამოვიდა მიულერი—წარმომადგენელი „საფრანგეთ-რუსეთის ცენტრალური გაერთიანების,“ რომელიც დაარსდა ორი წლის წინად პარიზში საფრანგეთ-რუსეთის ეკონომიური ურთიერთობის აღდგენის მომხრეთა ჯგუფის მიერ.

მიულერის მიზანია გამოარკვიოს პირობები, რომლითაც შესაძლებელი იქნება საფრანგეთ-რუსეთის სააქციონერო საზოგადოების დაარსება საფრანგეთის მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ფირმების მონაწილეობით სავაჭრო ოპერაციების, კონცესიების ექსპლოატაციის და საამშენებლო მუშაობის მოსაგვარებლად. მიულერი იოწმუნება, რომ საფრანგეთის მხრივ საზოგადოების დაარსებას დაბრკოლება არ შეხვდება იმ გავლენის და საშუალების გამო, რომლებითაც სარგებლობენ საზოგადოების ორგანი-

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ს. ს. რ. კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარის ნოტა „ვრანგელის“ კუნძულის შესახებ.

მოსკოვი. 24 აგვისტო. 21 აგვისტოს გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა გადასცა ბრიტანეთის წარმომადგენელს მოსკოვში, პეტერსს, მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ რუსეთის 2 ნოტა, სტეფანსონის ექსპედიციის გამო, რომელიც მოქმედებდა, როგორც კანადის მთავრობის აგენტი, და რომელმაც ინგლისის ფლაგი აღმართა ვრანგელის კუნძულზე, ყინულიან ოკეანეში,—უყურადღებოთ არის დატოვებული. რუსეთის მთავრობა, გაიგო რა მან ვრანგელის კუნძულზე ინგლისელების მიერ ახალი ექსპედიციის გაგზავნის შესახებ, ადასტურებს, რომ ის ვრანგელის კუნძულს სთვლის ს. ს. რ. კ განუყოფელ ნაწილათ, რადგან რუსეთის დროშა ამ კუნძულზე აღმართულ იქნა რუსეთის დელეგაციის მიერ 1821 წ. და სუვერენული უფლებები ამ კუნძულზე არასოდეს არ ყოფილა საკამათო საგნათ გამხდარი სხვა სახელმწიფოების მიერ. ინგლისის ოფიციალურ გამოცემაში „არტიკ პილოტ“-ში აღნიშნული იყო, რომ კუნძული აღმოჩენილ იქნა რუსეთის ექსპედიციის მიერ. 1916 წელში რუსეთის მთავრობამ ოფიციალურათ განუცხადა ყველა სახელმწიფოებს, რომ ვრანგელის კუნძული რუსეთის ეკუთვნის და ამ ნოტას მაშინ არც ერთ სახელმწიფოს პასუხი არ გამოუწვევია.

ამიტომ ს. ს. რ. კ. მთავრობა ინგლისის დროშის აღმართვას ვრანგელის კუნძულზე სთვლის რუსეთის სუვერენულ უფლებების დარღვევათ.

ს. ს. რ. კ. გონიერი საფინანსო პოლიტიკა.

მოსკოვი. 24 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს მოსკოვში, ბალდვინმა ლონდონში გამგზავრების წინ გაკვირვება გამოსთქვა იმ გონიერ პოლიტიკის გამო, რომელსაც რუსეთის მთავრობა აწარმოებს; მთავრობამ ფულის ნიშნების 2|3 უზრუნველყო უკვე ოქროთი ბალდვინმა (ინგლისელ მრეწველთა დელეგაციის თავმჯდომარე მოსკოვში) განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა, როგორც ჩანს, ცდილობს მიჰყვეს იმ მაგალითს, რომელსაც აძლევს ევროპას დიდი ბრიტანეთი.

ოკუპაციის გარშემო

კომუნისტურ გაზეთის რედაქტორის დატუსაღება.

ბერლინი. 23 აგვისტო. საფრანგეთის ხელისუფლებამ დიუსელდორფში დაატუსაღა კომუნისტურ გაზეთ „ვიდერეინიმე არბეიტერ ცეიტუნგ“-ის რედაქტორი, რომელიც საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა.

წინააღმდეგობის ახალი ფორმა.

ბერლინი. 23 აგვისტო. საფრანგეთის ჯარების მიერ რურის მაღაროებისა და ქარხნების კონფისკაციისა და გერმანელ მუშების ფრანგ მუშებით შეცვლის გამო, გერმანიის წინააღმდეგობა რურის ოლქში ახალ ფორმებს იღებს. საფრანგეთის ჯარისკაცების მიერ დაჭერილ მაღარო „კონკორდია“-ში გამოურკვეველ მიზეზების გამო ცეცხლის გაჩენის ამბის შემდეგ მოვიდა მეორე ცნობა, რომ მაღაროები „რეინი“ და „ელბა“ წყლით აივსო. გერმანელმა მუშებმა ცეცხლის საქრობი მილები აამოქმედეს, რათა დაეშალათ საფრანგეთის რაზმებისათვის მაღაროების დაჭერა.

არც ერთი კომუნისტური გაზეთი.

ბერლინი. 23 აგვისტო. ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ კელნის კომუნისტების ორგანო—„სოციალისტური რესპუბლიკის“ გამოცემის აკრძალვის შემდეგ, ინგლისის მთელს საოკუპაციო ზონაში არ დარჩა არც ერთი კომუნისტური გაზეთი.

კომპარტიის ტაქტიკა საოკუპაციო ოლქებში.

ბერლინი. 23 აგვისტო. გერმანელი კომუნისტები სასტიკათ ილაშქრებენ სინდიკალისტების (ეგრედწოდებულ მუშათა კომუნისტურ პარტიის) რურის, რეინის და პფალცის ოლქებში ადგილობრივ სეპარატისტებთან გაერთიანების წინააღმდეგ.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი.

ლოზანას კონფერენციის რატიფიკაცია.

ლონდონი. 23 აგვისტო. **სტამბოლიდან მიღებული ცნობებით, ლოზანას საზავო ხელშეკრულება დაამტკიცა ანგორის ეროვნულმა კრებამ.**

სტამბოლის ევაკუაცია.

ლონდონი. 25 აგვისტო. **სტამბოლიდან მიღებული ცნობების თანახმად, ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა ოფიციალურად აცნობა მოკავშირეების ჯარების სარდალს გენერალ გარრინგტონს ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მიერ ლოზანას ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ და წინადადება მისცა მიიღოს ზომები ოსმალეთის ტერიტორიის ევაკუაციისათვის.**

ოსმალეთი არ დაუთმობს მოსულს.

ბერლინი. 25 აგვისტო. ლოზანას ხელშეკრულების რატიფიკაციის წინ, დეპუტატმა ნეჯეტიმ, რომელიც გამოვიდა ეროვნულ კრებაში მოსულის საკითხის შესახებ, განაცხადა, რომ ოსმალეთი არასოდეს არ დასთმობს თავის უფლებებს ამ პროვინციაზე.

ვინ არ სარგებლობს ამნისტიით.

ბერლინი. 25 აგვისტო. ანგორის მთავრობამ გამოაქვეყნა 160 კაცის სია, რომელთაც არ ეძლევათ ამნისტია, მათ შორის არიან: ყოფილი სულთანი, ყოფილი დიდი ვეზირი და ყველა ისინი, რომლებმაც ხელი მოაწერეს სევრის ხელშეკრულებაზე.

„გავლენის სფეროები“.

რომი. 25 აგვისტო. პოლიტიკურ და ფინანსიურ წრეებში იუწყებიან, რომ საფრანგეთი, ინგლისი და იტალია აწარმოებენ მოლაპარაკებას ოსმალეთთან მრეწველობის განვითარების შესახებ მცირე აზიაში. ამ სახელმწიფოებს სურთ დაჰყონ ტერიტორია გავლენის სამ თანასწორ სფეროდ. თვითეულმა სახელმწიფომ მიიღო ნებართვა, რომლითაც უფლება აქვს დაარსოს საკუთარი „მცირე აზიის განვითარების საზოგადოება“, რომელიც შეუდგება მუშაობას ანგორის მთავრობასთან საბოლოო შეთანხმების მიღწევის შემდეგ.

ყოფილ მენშევიკთა სრ. საქართველოს ყრილობა

ყრილობის გახსნის წინ

ჯერ კიდევ საღამოს ხუთი საათიდან აუარებელი ხალხი იყრის თავს რუსთაველის თეატრის შესავალთან და ცდილობს როგორმე ყრილობაზე შესასვლელი ბილეთები იშოვოს. ბილეთების რიცხვი განსაზღვრულია, ყველას ვერ დაიტევს თეატრის საკმაოთ დიდი დარბაზი.

მნიშვნელოვანი ისტორიული დღეა, ყველას სურს თვითონ დაესწროს, თავის თვალით იხილოს ამ ისტორიული დღის მსვლელობა და მისი მონაწილენი, რომლებიც თითქმის მხოლოდ მუშებისაგან შესდგებიან.

დღეს არის 30 წლის ისტორიის მქონე სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკური პარტიის თვითლიკვიდაციის დღე, რომლის შემდეგაც ამ პარტიის მუშური ნაწილი კვლავ იწყებს აქტიურ მონაწილეობის მიღებას რევოლიუციონურ ბრძოლაში,.. საქართველოს უდიდეს და უძლიერეს პარტიის წევრთა საუკეთესო ნაწილი სდგება დღეს მესამე ინტერნაციონალის ძლევამოსილ დროშის ქვეშ. მუშათა რევოლიუციონური ოჯახი ივსება ახალი წევრებით და ეს მუშათა კლასის საერთო სიხარულს იწვევს.

იხსნება თეატრის დარბაზიც, რომელიც თანდათან ივსება დელეგატებით და მოწვეულ სტუმრებით. ყრილობის საინიციატივო ბიურო ამოწმებს მანდატებს, საქართველოს ყველა კუთხეებიდან ჩამოსული დელეგატები ავსებენ საანკეტო ფურცლებს.

მალე რუსეთის მენშევიკური პარტიის ყოფილი ბელადი ამხ. მარტინოვიც გამოჩნდა დელეგატთა შორის, რომელთა რიცხვი წინასწარი ანგარიშით უდრის 220 კაცს.

ყრილობის გახსნა

7 ნახ. საათზე ძველი მებრძოლი მუშა ამხ. ალექსანდრე ფარნიევი ყრილობას გახსნილათ აცხადებს და მიმართავს მას მოკლე სიტყვით:

ამხანაგებო, დღეს ჩვენ ვსდგამთ მეტად საპასუხისმგებლო ნაბიჯს, რომლის მაგალითები ისტორიაში იშვიათია. ჩვენ საქართველოს მუშებმა, მენშევიკური პარტიის ყოფილმა წევრებმა დავიწყუნეთ ძველი გზა და გადავდგით მნიშვნელოვანი ნაბიჯები ახალისაკენ, რომელსაც დიდი გამბედაობა სჭირდება და ამ გამბედაობისაკენ მოგიწოდებთ თქვენ. (მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს). ამის შემდეგ საგანგებოთ მოწვეული ფოტოგრაფი იღებს ყრილობის სურათს.

არჩევნები

ამის შემდეგ იწყება პრეზიდიუმის, სამდივნოს, სარედაქციო კომისიის და სამანდატო კომისიის არჩევნები.

პრეზიდიუმი

პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნა შემდეგი 21 ამხანაგი: ფარნიევი ალ., **ვ. სიხარულიძე** (გორი), **ისიდორე თელია** (სამეგრელო), **ნესტორ ქერეჭაშვილი** (გორი), **თეიმურაზ ჭუმბურიძე** (ქუთაისი), **გოგბერიძე კალენიკე** (გურია), **შენგელია კიმოთე** (ქუთაისი), **რუხაძე არჩილ** (ტფილისი), **გოგიბერიძე სვიმონ** (ფოთი), **მაჭავარიანი ვასილ** (შორაპნის მაზრა), **ვაჭარაძე ნ.** (ტფილისი), **ჭყონია აკ.** (ტფილისი), **გნოლვოი პეტრე** (ტფილისი), **ვარდოიანი გიორგი** (ბორჯომი), **თედოშვილი** (ტფილისი), **ჩოჩია ოლღა** (სენაკი), **ლუკაშევიჩი ალ.** (ტფილისი), **მიკირტუმოვი ბაგრატ** (ტფილისი), **ბერუჟიანი ნ.** (კახეთი), **ამირიძე** (დუშეთი), **ხელიმაშვილი** (ბორჩალო).

სამდივნო

სამდივნოში არჩეული იქნენ: კვიცარიძე, თალაკვაძე და ანთიძე.

სარედაქციო კომისია

სარედაქციო კომისიაში არჩეულ იქნენ: რუხაძე არჩილ, ჭყონია აკაკი და ვარდოიანი გიორგი.

სამანდატო კომისია

სამანდატო კომისიაში არჩეულ იქნა ცხრა ამხანაგი: **ჩლაიძე, კაიტაჯიანი, ნავროზაშვილი, ჯიბლაძე, ესებუა, შარაშიძე, მახარაძე, ლუკაშევიჩი და რუხაძე**

საპატიო თავმჯდომარეები

ამხ. ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი, ჯუღაშვილი, ცხაკაია, მახარაძე, მარტინოვი, არაქელა და ლ. დუმბაძე.

—

ყრილობაზე გამოცხადდა პატიმარ მენშევიკთა ჯგუფი, რიცხვით 26 კაცი, რომლის წარმომადგენელმა მიმართა ყრილობას მისასალმებელი სიტყვით.

ამის შემდეგ მიღებულ იქნა დღის წესრიგი იმ სახით, როგორც ეს გამოცხადებული იყო გაზეთებში. რეგლამენტის მიღების შემდეგ სიტყვა მიეცა ამხ. **მარტინოვს**, რომელიც აკეთებს მოხსენებას: კაპიტალისტური ევროპის დაშლა და კომინტერნი.

დაწვრილებით ანგარიშს მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

სხვადასხვა

საბერძნეთი

რეაქცია ძლიერდება

ვენა. 23 აგვის. საბერძნეთში რეაქციონური მოძრაობა ძლიერდება. სამხედრო-სარევოლიუციო სასამართლომ, რომელმაც მეფე კონსტანტინე ჩამოაგდო და რომელმაც სიკვდილი მიუსაჯა მის მინისტრებს, ეხლა მტრულად უცქერის მეფე გიორგის; მაგრამ ეს სასამართლო, უცხო სახელმწიფოთა ზეგავლენით, ეხლა იძულებულია ახალი არჩევნები დანიშნოს. ვენიზელოსს უდროვოდ მიაჩნია საბერძნეთისათვის რესპუბლიკანური წეს-წყობილება.

უკანასკნელი ცნობებით, რუმინეთის დედოფალმა მარიამმა მოახერხა და პარიზში მეფე გიორგი საბერძნეთის მეფედ აღიარებინა, რაზედაც ინგლისი და იტალიაც თანხმობას აცხადებენ.

საბერძნეთში დაარსდა ძლიერი ლეგიტიმისტური პარტია, რომელსაც მიზნად დაუსახავს რევოლიუციონური მთავრობის დამხობა. მთავრობამ დაავალა პრემიერად ნამყოფ ზაიმისს შეუერთდეს ვენიზელოსის მემარჯვენე ფრთას—აგრართა პარტიას და სოციალ-დემოკრატიას. ამ კომბინაციას ხელი შეუშალა გაფიცვის გამოცხადებამ და მწარმოებელთა მეცადინეობამ ხელფასის დაკლების შესახებ.

საქართველოს საკითხი გენუას კონფერენციაზე და მენშევიკები*)

მკითხველმა ალბათ უკვე იცის, რომ გენუას კონფერენციას დაუკავშირეს საქართველოს საკითხი და ჩვენი მდგომარეობის შესახებ საკმაოდ გაცხოველებული ბრძოლა გაიმართა როგორც კონფერენციაზე დიპლომატიური ნოტებით, ისე ევროპის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთებში.

როგორც ვიცით ყოფილი მენშევიკური მთავრობა ყოველი ძალ-ღონით ცდილობს დაიბრუნოს თავისი დაკარგული ბედნიერება და კვლავ აღადგინოს მენშევიკური რეჟიმი საქართველოში, რაც თავის თავად ნიშნავს ბურჟუაზიული წყობილების რესტავრაციას და საქართველოს ევროპის კაპიტალიზმის საექსპლოატაციოდ გადაქცევას. თავისი მიზნების მიღწევისათვის მენშევიკები ენერგიულად იყენებენ ყოველ საშუალებას და პირობებს. ნ. ჟორდანია ერთ თავის პარიზიდან გამოგზავნილ წერილში ამბობდა, რომ „ჩვენ მომხრეები ვართ საქართველოს საქმეებში სოციალისტური ინტერვენციის მოხდენისა“. ფორმალურად საკითხის ასე დაყენება თავის თავად ამბობს, რომ საქართველოს საქმეებში მენშევიკები აპირობენ უცხო ძალების, თუ გინდ სოციალისტურის ჩარევას; მათ ხელები გაუპოტინეს თავიანთ მოძმეებს 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებიდან და სთხოვეს რეალური დამხმარე ძალა. მაგრამ, თუ არსებითად შევხედავთ საკითხს, მაშინ დავინახავთ, რომ აქ სოციალისტურ ინტერვენციაზე ლაპარაკია მხოლოდ, იგი შირმა არის სხვა გარკვეული საშუალების გამოსანახავად. ფაქტიურად კი მენშევიკები იმპერიალისტურ ინტერვენციას აპირებენ საქართველოში. რეფორმისტულ ინტერნაციონალს არა აქვს არავითარი რეალური ძალა და რესურსები ინტერვენციის მოსახდენათ: მენშევიკებს სურთ ევროპის იმპერიალისტური ძალები დაიხმარონ თავიანთ მიზნების მიღწევის საქმეში ე. ი. მენშევიკური ხელისუფლების აღდგენაში.

ამ ძალების გამოყენებას ისინი ფიქრობენ ორის გზით: 1) დიპლომატიური, მშვიდობიანობის საშუალებით, ე. ი. ევროპის სახელმწიფოებმა დიპლომატიური გზით ძალდატნება უნდა მოახდინონ საბჭოთა ხელისუფლებაზე და აღადგინონ მენშევიკური რეჟიმი საქართველოში; 2) თუ ამ გზით შეუძლებელი შეიქნა მიზნის განხორციელება, მაშინ ისინი არ ერიდებიან ჩვენ საქმეში ევროპის სახელმწიფოების შეიარაღებულ ჩარევას. არის მესამე გზაც, რომელიც შინაურ არეულებასა და კრიზისების შექმნაში გამოიხატება. 1922 წელს საქართველოს პოლიტიკური პარტიები საზღვარ-გარეთ აქვეყნებენ დეკლარაციას, რომლის მეოთხე მუხლი შემდეგს ღაღადებს: „თუ ეს სამართლიანი მოთხოვნილება არ იქმნა დაკმაყოფილებული მშვიდობიანი გზით, არსებულ საერთაშორისო უფლებრივ ნორმათა თანახმად, **ქართველი ხალხი იძულებული იქნება მიმართოს ბრძოლის ყოველნაირ საშუალებებს** კანონიერი სახელმწიფოებრივი უფლებათა აღსადგენათ, და რუსეთის საოკუპაციო მართველობასა და უკანასკნელის კარნახით ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა მოსალოდნელ გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად“. (იხ. „თავისუფალი საქართველო“ № 20, გვ. 3).

თავი დავანებოთ იმას, რომ მენშევიკები დღესაც ვერ განთავისუფლდენ ქართველი ხალხის სახელით ექსპლოატაციისა და ინსინუაციების გავრცელებისაგან. თავის თავად ეს დადგენილება, რომელთაც ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთა ხელის მოწერა აქვს, ნათლად ღაღადებს, რომ ისინი ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ გამოიყენონ ყოველი პირობები საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებად. ამ მიზნებს ემსახურება, როგორც შინაური აჯანყების მოწყობის ცდები, ისე ბარტუ პუანკარეს დიპლომატიური ნოტები და სამხედრო მუქარა.

გენუას კონფერენციის მზადების პერიოდებში მენშევიკების ყოფილი მინისტრები ნოტებს ნოტებზე უგზავნიდენ ანტანტის მთავრობებს და აგონებდნენ მათ, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს კაპიტალისტებისათვის ამიერ-კავკასიის თუთუნის, ნავთის, ბამბისა, ხე-ტყის, ქვანახშირის სამეურნეო რაიონებს საუცხოვო გზებითა და ტრანსპორტით მოწყობილს. მენშევიკებმა გამოცდილებით იცოდენ, რომ ამიერ-კავკასიას იმპერიალისტურ ევროპისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ეკონომიურად ისე სტრატეგიულ-პოლიტიკურ მოსაზრებით. მათ სურდათ ამ გარემოებით ესარგებლათ და ანტანტის ხელისუფლება რეალურად დაეინტერესებიათ საქართველოს საკითხით. მიუხედავათ ამისა კანნაში მოკავშირეებმა დაადგინეს საქართველოს საკითხი არ დაესვათ გენუას კონფერენციაზე—იმ ფორმალური მოსაზრებით, რომ საქართველო აზიაში მდებარეობს და გენუას კონფერენცია არ იხილავს აზიის ქვეყნების საკითხს; ფაქტიურად ამ დადგენილების მთავარი წყარო ინგლისის პოლიტიკის გამარჯვებიდან გამომდინარეობდა, რომელსაც სურდა საერთო ენა მოენახა საბ. რესპუბლიკებთან და ამიტომ ფორმალურად ხელი აიღო მათ შინაურ საქმეებში ჩარევიდან. ინგლისის ასეთი პოლიტიკა არ მოეწონათ ჩვენ მენშევიკებს და თავიანთი კურსი აშკარად გადახარეს საფრანგეთისაკენ. რომელიც მოურიდებელი მტერი შეიქნა საბჭოთა მთავრობის. როგორც აღნიშნულ გვაქვს მოკავშირეთა მთლიანობა რამოდენიმეთ დაირღვა და მათ შორის ინტერესთა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. ამ საკითხის შესახებ მენშევიკების ორგანო სწერს: „გენუას კონფერენციამ წინააღმდეგობათა დიდი ხლართი გამოააშკარავა დიდ სახელმწიფოთა შორის. ანტანტა, რომლის მთავარი ძალა საკითხების თანხმობით გადაწყვეტაში მდგომარეობდა, დღეს შეიძლება ითქვას უკვე აღარ არსებობს. იგი გარეგნულადაც ველარ იცავს თავის მთლიანობას. აშკარა წინააღმდეგობაა რუსეთთან ეკონომიურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობის დაჭერაში, წინააღმდეგობაა საერთო პოლიტიკის ყველა დარგში. საფუძველი ეყრება ძალთა ახალ გადაჯგუფებას.

ასე სდგას საკითხი კონფერენციაზე.

მაგრამ იმის გარეშეც არა ნაკლებ წინააღმდეგობებს აქვს ადგილი და ჩვენ გვგონია, რომ მთავარი ძარღვი ბრძოლის სწორეთ იმაშია, რაზედაც ოფიციალური სხდომები მდუმარებენ: **ესაა ბაქოს ნავთის წყაროები.** იგი ბულონის შეთანხმების თანახმად საჯაროდ განსახილველად აკრძალულია, რადგან იგი ეკუთვნის არა რუსეთს, არამედ აზერბეიჯანის რესპუბლიკას, რომელიც კონფერენციაზე მოწვეული არაა. მაგრამ მის კულისებში ბ-ნ კრასინს, რუსეთის ახალ აუქციონერს, ეს საგანი ერთად ერთ რეალურ და ყველაზედ მიმზიდველ სავაჭრო საქონლად აქვს გამოფენილი ევროპიელთა თვალების ასაჭრელებლად.

ბაქოა ცენტრი ბრძოლის და ყურადღების. აქ ინგლისი ცდილობს თავის მონოპოლიურ ბატონობაზე. საფრანგეთი და ამერიკაც, რომელიც კონფერენციაზე წარმოდგენილი არ არის,—თავის მიუცილებელ მონაწილეობაზე“. (იხ. „თავისუფ. საქართ. № 21 წერილი „ბაქო და ტფილისი“)

ამგვარად მენშევიკებმა ნათლად შიგნეს, რომ 1) ნავთი გადაიქცა საერთაშორისო პოლიტიკის უდიდეს ამოცანათ და ასეთ პირობებში ბაქოს ნავთმა პირველი ადგილი მოიპოვა გენუას კონფერენციაზე; 2) ამ ნავთის რაიონის გარშემო ინტერესთა წინააღმდეგობამ იჩინა თავი მოკავშირეთა შორის. მენშევიკებმა გადასწყვიტეს ესარგებლათ შექმნილი მდგომარეობით და ნავთის საკითხი გამოეყენებიათ თავიანთი უმთავრესი მისწრაფებების განხორციელების საქმეში. ზემოდ დასახელებულ წერილში მენშევიკები უხსნიან ევროპის სახელმწიფოებს: თუ თქვენ გინდათ ისარგებლოთ ბაქოს ნავთის წყაროებით, მაშინ უპირველეს ყოვლისა საქართველო უნდა გაანთავისუფლოთ ბოლშევიკურ ხელისუფლებისაგან და შემდეგ მოგეცემათ საშუალება ნავთის სარგებლობისა და მისი გამტარებელი მილით თავისუფალი სარგებლობისა. აღდგენა მენშევიკური ხელისუფლებისა შექმნის საზღვარგარეთელ კაპიტალისტებისათვის „პირობებს ბაქოს სიმდიდრით დაუბრკოლებელი და თავისუფალი სარგებლობისათვის“. (იქვე ამ წერილიდან „ბაქო და ტფილისი“).

მენშევიკების მთელ რიგ ნოტებიდან მკითხველი ნათლად ხედავს, თუ ვინ აპირებს იაფად და ნისიად არა მარტო საქართველოს ქონების, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის დოვლათის გაყიდვასა და განიავებას. მენშევიკებმა საქართველოს „განთავისუფლების“ საქმეში აღუთქვეს ევროპის იმპერიალისტებს ბაქოს ნავთით თავისუფალი სარგებლობა და მთელი ამიერ-კავკასიის დოვლათის თავისუფალი ექსპლოატაცია. ასეთი ძვირფასი საჩუქრებით ეპატიჟებოდენ მენშევიკები დასავლეთის იმპერიალისტებს ჩვენს მიწა-წყალზე. ტყუილა კი არ ამბობდენ მათი ბელადები: **„დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო“.**

გენუას კონფერენციამ მართლაც გააცხოველა „ინტერესი“ ჩვენი ერისადმი: ბაქოს ნავთმა თავისი გაიტანა და საერთაშორისო დიპლომატიის სარბიელზე საქართველოს საკითხიც გამოიტანა. მენშევიკების „თავისუფალი საქართველო“ შემდეგ ნომერში (22) სწერდა: „მკითხველს ეცოდინება, რომ გენუას კონფერენციაზე უდიდესი როლი ითამაშა კავკასიის ნავთის საკითხმა. კონფერენციის უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, მთავარი კომბინაციები და მთავარი დავა ფაქტიურად ნავთის საკითხი. ირგვლივ ტრიალებდა. ამ გარემოებამ ძლიერ გააცხოველა კავკასიისა და კერძოდ საქართველოს საკითხი უკანასკნელი გადაეხლართა უდიდეს საერთაშორისო საკითხებს და მომავალშიაც ამ საკითხების გადაჭრის ცდის დროს შეუძლებელი იქნება საქართველოს ბედის გვერდის ავლა“. (იხ. წერილი „ნავთის საკითხი, ამერიკა, საფრანგეთი და საქართველო“).

უმთავრესად ინტერესი საქართველოსადმი გააცხოველა საფრანგეთ-ინგლის-ამერიკის ინტერესთა წინააღმდეგობამ ბაქოს ნავთის გარშემო. საფრანგეთისა და ამერიკის საზოგადოებრივი წრეები აშკარად დასდგენ მენშევიკების მხარეზე, რომ ამით შეექმნათ ინგლისის დასაპირისპირებელი ფაქტორები. იმავე წერილში მენშევიკები სწერენ: „ნავთის საკითხის წამოჭრამ კავკასიის და კერძოთ საქართველოს ბედში დააინტერესა ამერიკის არა მარტო მთავრობა, არამედ ფართო საზოგადოებრივი წრეებიც. ამას მოწმობს ამერიკის უძლიერესი მუშათა ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის ცნობილ გომპერსის რადიო-დეპეშა, სადაც ამბობს: ამერიკისათვის გამორკვეულია საბჭოთა რუსეთის ნამდვილი სახე საერთაშორისო პოლიტიკაში. რუსეთის საბჭოები შეუთანხმდენ საერთაშორისო კაპიტალისტებს. **საქართველოს ერთად-ერთი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მას მოეპოვება ნავთის წყაროები და მის ტერიტორიაზე ძევს ნავთის მილის დიდი ნაწილი.** რუსეთის ბოლშევიკები თავს დაესხენ საქართველოს რესპუბლიკას და იმსხვერპლეს იგი საერთაშორისო კაპიტალთან წინასწარ შეთანხმებით, რათა შეძლება ქონოდათ და გადაეცათ უკანასკნელისათვის ორი მილიარდ დოლარათ ღირებული ნავთის კონცესიები. ასე გარკვეულად სდგას კავკასია და საქართველოს საკითხი ამერიკის დემოკრატიის თვალში“. (იქვე).

მკითხველმა უნდა იცოდეს რომ ეს ის გომპერსი არის, რომელიც ამერიკის კაპიტალისტებს **მოყიდული ყავს და მათი აგენტის როლს ასრულებს მუშათა წრეებში.** აღნიშნულ რადიოდან და გომპერსის განმარტებებიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, თუ როგორ გადააჯაჭვეს ნავთის საკითხს საქართველოს ბედი გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიური მიზნებით. აქ გარკვევით მოქმედებს ახალგაზრდა ამერიკის იმპერიალისტების ნავთის ინტერესები, რომელსაც სურდა ინგლისის საწინააღმდეგო მდგომარეობა შეექმნა რუსეთსა და მთელს ამიერ-კავკასიაში.

თუ რამდენათ დაუკავშირა საქართველოს საკითხი ნავთის საკითხს საფრანგეთის იმპერიალისტებმა, ამის ილუსტრაციისთვის ჩვენ მოვიყვანთ ფრანგ დეპუტატის ერნესტ უტროის წერილის ნაწილს („ნავთის პრობლემა—გენუას კონფერენცია და კავკასიის სახელმწიფონი“), რომელიც შავრაზმული გაზ. „ეკო დე პარი-“-ს ფურცელზე იყო მოთავსებული და შემდეგ გადაბეჭდილი „თავისუფალ საქართველოში“.

„საფრანგეთის პარლამენტში დებატების დროს მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კავკასიის სახელმწიფონი არ იქნებიან მოწვეულნი გენუას კონფერენციაზედ, რადგან ეს სახელმწიფონი ევროპაში არ არიან მოქცეულნი. მთავრობის თავმჯდომარემ აგრეთვე განაცხადა, რომ საბჭოების, ან უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, კავკასიის სახელმწიფოთა ყალბ წარმომადგენლების პრეტენზია გენუაში დაშვებისთვის, უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

საფრანგეთის მიერ საკითხი ნათლად არის გარკვეული; საჭიროა, რომ ჩვენი პოზიცია ამ საკითხში მტკიცე და ურყევი იყვეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ განვიცდით ეკონომიური ბრძოლის მეტად მძიმე პერიოდს. **და ამა თუ იმ ერის კეთილდღეობა დამოკიდებულია ამ ერის ნავთის პოლიტიკაზე.** ჩვენ გვახსოვს თუ რა დიდი როლი ითამაშა „ნავთის ფაქტორმა“ გავლილი ომის უკანასკნელ თვეებში და არა ნაკლებ როლს თამაშობს იგი მშვიდობიან დროსაც, თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე ეპოქის განვითარებულ მაშინიზმსა და ინდუსტრიას.

ეს გარემოება, როგორც სჩანს, სავსებით დააფასა საბჭოთა მთავრობამ, რომ უმნიშვნელო მიზეზის გამო თავს დაესხა დამოუკიდებელ რესპუბლიკებს და თვით საბჭოთა მთავრობის მიერ ცნობილ კავკასიის რესპუბლიკათ და 1921 წლის იანვარ-თებერვალში თავისი მრავალ-რიცხოვანი ჯარების საშვალებით დაიპყრო.

ხიშტებზე დაყრდნობილი ძალის მეოხებით კავკასია და საქართველო გახადეს რა საბჭოთა ფედერაციის წევრებათ, დაუყოვნებლივ გაავრცელეს მასზედ კომუნისტური რუსეთის ყველა კანონები და დეკრეტები და ნავთის უძვირფასეს მადნეულობას რუსეთის მთავრობამ ნაციონალიზაცია უყო. ამბობენ, რომ ლორდ კერზონმა მიიღო კანში პირობა, რომლის მიხედვით, გენუას კონფერენციაზე არ იქნება აღძრული კამათი იქ წარმოდგენილ ქვეყნების შინაური საქმეების შესახებ—**ეს იმას ნიშნავს, რომ იქ არ შეეხებიან რუსეთის და კავკასიის საკითხს და იმ პირობებს, რომლებშიაც ანხორციელებს დამპყრობელი რუსეთი თავის კომუნისტურ კანონმდებლობას; თუ არ იქნება აღძრული საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად კანონიერია საბჭოების მიერ კავკასიის დაპყრობა, ეს იქნება გაგებული როგორც შერიგება და დადასტურება ნავთის მადნეულობის ნაციონალიზაციის კანონიერებისა წითელი ჯარების მიერ..**

მაგრამ ჩვენ ვიცით, საბჭოებმა პირობა დასდვეს ინგლისის ნავთის მრეწველთა ერთ ჯგუფთან, რომლის მიხედვით საბჭოთა-ვაჭბატონები ბრიტანეთის ნავთის გამყიდველთა სინდიკატს აძლევენ უპირატესობას ნავთის წარმოების საქმეში. ჩვენ ვიღებთ თავზე სითამამეს განვაცხადოთ, რომ წითელი რუსეთი [illegible] კავკასიაში როგორც უზურპატორი, ხოლო ამ სახელმწიფოთ უნდა ანგარიში გაუწიოთ როგორც დამოუკიდებელ ქვეყნებს და მათი უფლების საერთაშორისო ცნობით უზრუნველყოთ ის პირობები, კერძო პირთა, ისე დიდი კომპანიების, რომელნიც წინად მიღებული ჰქონდათ ამ ქვეყნებში ფრანგებს, ბელგიელებს და თვით ინგლისელებს. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ეს განცხადება შეაჩერებს ამ მყვლეფელი სინდიკატების წადილს უსირცხვილო საშუალებით ჩაიგდონ ხელში კავკასიის ნავთი.

ბ-ნმა პუანკარემ განაცხადა, რომ რუსეთს არ მიეცემა უფლება წარმოადგინოს გენუაში კავკასიის ფსევდო დელეგატები. ძალიან კარგი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი—**კავკასიის საკითხი უნდა დაისვას გენუას კონფერენციაზე—თუ ეს არ იქნა, უდიდესი და უძვირფასესი წარმოებანი ბაქოს და გროზნის რაიონისა, რომელნიც ჩამორთმეული აქვთ მათ კანონიერ მესაკუთრეთ და საბჭოების ხელში იმყოფებიან, ისევ მათ დარჩებათ და ბოლშევიკებს მიეცემათ უძლიერესი ფაქტორი მათი რეჟიმის გამაგრებისათვის“.**

---

*) იხ. წერილები: „რკინის, ნახშირისა და ნავთის იმპერიალისტური პოლიტიკა“, „კომუნისტი“ №№ 190, 191, 192.

პოლონეთი

სასურსათო კრიზისი მწვავდება.

ვარშავა. 23 აგვისტო. პოლონეთის დიდ ქალაქებში მწვავდება სასურსათო კრიზისი. ლოძში პოლიციამ მოახდინა მასიური გაჩხრეკა და დაპატიმრება იმ პირთა, რომელნიც შემჩნეული არიან პროდუქტებით სპეკულიაციაში.

მაგალითს იღებენ.

ვარშავა. 23 აგვისტო. პოლონეთში ძლიერდება აგიტაცია ეკლესიის ქონების ჩამორთმევის სასარგებლოთ. გაზეთმა „ჩას"მა ღია წერილით მიმართა პოზნანის ეპისკოპოზს და ლუკომსკის და წინადადება მისცა ხაზინას ჩააბაროს საეკლესიო ქონება. ლუკომსკიმ უარი განაცხადა.

ესპანეთი.

აჯანყების ცდა მალაგაში.

პარიზი. 25 აგვისტო. მალაგაში დააპატიმრეს 16 ჯარის კაცი და ორი მოქალაქე, რომელიც ბრალს ხდებენ აჯანყების მოწყობისათვის მზადებაში.

იტალია

213.000 უმუშევარი.

რომი. ოფიციალურ ცნობების თანახმად იტალიაში უმუშევართა რიცხვი 213.000-დე აღწევს.

მუსოლინი და ფაშისტები.

რომი. 23 აგვისტო. მუსოლინმა გასცა ბრძანება მიიღონ ზომები ფაშისტების წინააღმდეგ, რომელნიც აძულებენ ქალაქის საბჭოებს შეიტანონ განცხადება გადადგომის შესახებ, ეს ღონისძიება გამოწვეულია მით, რომ ცნობა ფაშისტების ყოფაქცევის შესახებ, ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს საზღვარ-გარეთ.

სერრატის ჯგუფი.

რომი. 23 აგვისტო. იტალიის სოციალისტურ პარტიის დირექციამ კვლავ მიიღო პარტიაში სერრატი და მისი ამხანაგები.

ნორვეგიაში.

პროტესტი ფინეთის კომპარტიის დარბევის წინააღმდეგ.

ქრისტიანია. 23 აგვისტო. ნორვეგიის კომპარტიამ და ახალგაზრდობის კომკავშირმა მოაწყვეს ქრისტიანიაში საპროტესტო მიტინგი ფინეთის კომპარტიის დარბევის წინააღმდეგ. მიტინგზე მონაწილეობა მიიღო [illegible],000 კაცმა. მიღებულია რეზოლიუცია ფინეთის კომუნისტებისათვის მხარის დაჭერის შესახებ.

შეერთებული შტატები.

„არა"-ს წარმომადგენლის ჩამოსვლა რუსეთიდან.

ნიუ-იორკი. 23 აგვისტო. „არა"-ს წარმომადგენელი (მოსკოვში) პოლკოვნიკი ხასკელი დაბრუნდა ნიუ-იორკში.

ნახშირის მრეწველობაში

ნიუ-იორკი. 22 აგვისტო. კომისიამ, რომელსაც დავალებული ქონდა ნახშირის მრეწველობაში შექმნილი კონფლიქტის მოგვარება, ვერავითარ შედეგებს ვერ მიაღწია. ახლო ხანში კულიჯი გამოაქვეყნებს კომისიის მოხსენებას.

შეერთებული შტატები და მექსიკა.

ნიუ-იორკი. 22 აგვისტო. ახლო ხანში შეერთებული შტატები აგზავნის თავის რწმუნებულს მექსიკაში და ოფიციალურად იცნობს მექსიკის მთავრობას.

საფრანგეთი.

მოსავალი საფრანგეთში.

პარიზი. 24 აგვისტო. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მიწათმოქმედების მინისტრმა, შერონმა განაცხადა, რომ მოსავალი საფრანგეთში, ალჟირის გამოკლებით, უდრის 70 მილიონ კვინტალს. მინისტრმა განაცხადა, რომ საფრანგეთს არ დასჭირდება უცხოეთიდან ხორბლის შემოზიდვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ის საკუთარი მოსავლის დახარჯვაში უდიდეს ეკონომიას გამოიჩენს.

ტყის ხანძარი.

ლონდონი. 24 აგვისტო. რივიერაში (ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე) ხანძარი მოედო ტყეებს. იწვის ტყეები ქ. კანის გარშემო. დაიღუპა მრავალი შენობები. არის ადამიანთა მსხვერპლიც. ხანძარის ჩასაქრობად გაიგზავნა ჯარები.

ბულგარეთი

განხეთქილება პარტიათა შორის

ვენა. 23 აგვ. ბულგარეთის ბურჟუაზიულ პარტიათა ბლოკში განხეთქილება გრძელდება. „რაბოტნიჩესკი ვესტნიკ"-ს შესაძლებლად მიაჩნია რადიკალთა პარტიის გათიშვა და გლეხობას მოუწოდებს, საერთო ფრონტი შექმნან კომუნისტებთან. სოციალ დემოკრატიულ წრეებში თანდათან იზრდება უკმაყოფილება პარტიული ბელადების მიმართ.

თეთრი ტერორი გრძელდება

ვენა. 23 აგვის. ბულგარეთში გრძელდება მთავრობის ტერორი. მასიურ პროტესტებს აწყობენ კომუნისტებისა და აგრარიების წინააღმდეგ. ამავე დროს უმთავრესად ბრალსა სდებენ იუსტიციის მინისტრად ნამყოფ დუპარინოვს და სიკვდილით ემუქრებიან.

ვენა. 23 აგვისტო. რუმინეთის პრესის ცნობით, ლარუჯაში გაიმართა დიდი ანტირუმინული დემონსტრაციები. რუმინეთის მთავრობამ ამის გამო პროტესტი განუცხადა ბულგარეთის მთავრობას. ცანკოვი დაპირდა რუმინეთის მთავრობას მომხდარი ამბების გამორკვევას და დამნაშავეთა დასჯას.

თეთრი ტერორი.

ვენა. 23 აგვისტო. „რაბოტნიჩესკი ვესტნიკი"-ს ცნობით, ბულგარეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სტოიანჩევმა ერთ-ერთ კრებაზე მუშათა შეკითხვაზე მთავრობის ძალმომრეობის შესახებ, განაცხადა: „კომუნისტებისათვის არ არსებობს სამოქალაქო სამართალი. მათ დასასჯელათ მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს—მათი განადგურება". მეორე დღეს დაპატიმრებული იყო 7 გამოჩენილი მუშა.

რუმინეთი.

ფაშისტები ამოძრავდნენ.

ვენა. 22 აგვისტო. რუმინეთში დაიწყო ფაშისტების გამოსვლები, რომლებიც მოქმედებენ თავის იტალიელ „მოძმეების" მსგავსათ.

ირლანდია

ირლანდია მზათაა სისხლით დაიცვას თავისი თავისუფლება.

ლონდონი. 23 აგვისტო. ირლანდიის რესპუბლიკანურ პარტიის საარჩევნო პროგრამაში აღნიშნულია, რომ პარტია, იმ შემთხვევაში, თუ ის არჩევნებში უმრავლესობას მიიღებს, არ იცნობს ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულებას და ირლანდიის კონსტიტუციის იმ მუხლს, რომელიც ხელს უწყობს ინგლისის პოლიტიკურ ჰეგემონიას. რესპუბლიკანური პარტია არ სცნობს აგრეთვე არავითარ კავშირს ინგლისსა და ირლანდიას შორის იმ შემთხვევაშიაც კი, რომ ამან ომი გამოიწვიოს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ესპანეთი.

გაფიცვა ბილბაოში.

პარიზი. 25 აგვისტო. ბილბაოში (ჩრდილოეთ ესპანეთში) მუშაობას ანახლებენ საგაფიცვო კომიტეტი დაპატიმრებულია.

ინგლისის გემების ამშენებელ სა-

ინგლისი

ხელოსნოების მუშების გაფიცვა.

ლონდონი. 23 აგვისტო. ბურჟუაზიული პრესა ბრალსა სდებს პოპლარის სამზრუნველოს ნავთსადგურის გაფიცულ მუშების მხარის დაჭერაში. სამზრუნველოს მუშათა ფრაქციამ აღნიშნა, რომ სამზრუნველო არ ერევა გაფიცულთა და პროფკავშირების მეთაურთა ურთიერთ დამოკიდებულებებში და დახმარებას უწევს გაფიცულთ იმ შემთხვევაში, თუ ოფიციალურათ იქნება გამოცხადებული გაფიცვა.

ნორვეგია

ზიზღი ერთიანი ფრონტის მოწინააღმდეგეს.

ქრისტიანია. 23 აგვისტო. ნორვეგიის ხეზე მომუშავეთა კავშირის ყრილობამ ზიზღი გამოუცხადა კავშირის თავმჯდომარეს ჩეკსტადს, რომელმაც შარშან საერთაშორისო კონგრესზე ვენაში ხმა მისცა საერთაშორისო გაერთიანებაში სრულიად რუსეთის კავშირის მიღების წინააღმდეგ.

საბერძნეთი

საყოველთაო გაფიცვა ფართოვდება.

ვენა. 23 აგვისტო. საყოველთაო გაფიცვა საბერძნეთში იზრდება. რკინისგზელებმა დაადგინეს შეუერთდნენ გაფიცულებს. პირეიაში გაფიცულთა მასიურ მიტინგზე სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა პოლიციასთან; მოკლულია 3 მუშა, დაჭრილია 2 ჯარისკაცი, 1 ოფიცერი, 1 ჟანდარმი და 9 მუშა. მთავრობა შლის პროფკავშირებსა და მუშათა ორგანიზაციებს, აპატიმრებს პროფკავშირების ხელმძღვანელებს და კომპარტიის პრეზიდიუმის წევრებს.

ამერიკის პირველი გაერთიანებული მუშათა და გლეხთა პარტია

(ჩიკაგოში გამართულ ყრილობის გამო).

ჩიკაგოს ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იქ შეიქმნა პირველი გაერთიანებული მუშათა და გლეხთა პარტია ამერიკაში: 740 დელეგატი, რომლებიც ჩამოვიდნენ ჩიკაგოში, წარმოადგენდნენ 616,000 მუშას და ფერმერს. რომ გავითვალისწინოთ ამ ახალი პარტიის მთელი სიდიდე, უნდა მივიღოთ მხედველობაში ის, რომ ამერიკის სოციალისტურ პარტიას ჰყავს მხოლოდ 12,000 წევრი. „უორკერს პარტი"-ს (კომუნისტურ პარტიას)—20,000. ძველ სოციალისტურ პარტიას თავის აყვავების პერიოდში ჰყავდა 100,000 წევრი, სოციალისტური პარტია ამტკიცებს, რომ ახალი გაერთიანებული მუშათა და გლეხთა პარტია არ წარმოადგენს პარტიას, რადგანაც მასში არ შედიან კავშირების გამოჩენილი ოფიციალური ლიდერები და, რომ ეს არის პირდაპირ კომუნისტური პარტია ახალი სახელწოდებით. სოციალისტური პარტია არი ყო წარმოდგენილი ჩიკაგოს ყრილობაზე. მან განაცხადა, რომ ამერიკის მშრომელი მასები ჯერ კიდევ არ არიან სავსებით მომწიფებულნი პარტიის შესაქმნელად და, რომ არ შეიძლება პარტია დაარსებულ იქნეს მუშების გამოჩენილ ლიდერების გარეშე. მაგრამ ეს სოციალისტური თვალთმაქცობა ვერ შესცვლის საქმის ნამდვილ ვითარებას. ახლად დაარსებული მუშათა და გლეხთა პარტია ნაყოფია ამერიკის ცხოვრების განსაკუთრებული ვითარების. ის არ არის ინგლისის მუშათა პარტიის მსგავსი, ის არ არის შექმნილი „ზევიდან" მუშათა პროფესიონალური კავშირების ლიდერების მიერ, არამედ ის განვითარდა არსებულ ორგანიზაციების დაბალ წრეებიდან. ახალი პარტია ვერ იპყრობს მუშათა მოძრაობას მთლიანად როგორც, მაგალითად, ინგლისის მუშათა პარტია. მის ხელშია მუშათა მოძრაობის მხოლოდ მემარცხენე ფრთა. არის კიდევ ერთი დიდი განსხვავება ახალი პარტიისა ინგლისის მუშათა პარტიისაგან; ამერიკის პარტიამ თავისი არსებობის პირველი დღიდანვე მიიღო თავის რიგებში კომუნისტები,—„უორკერს პარტი".

კლეველენდში მოწვეულ ყრილობაზე, რომელიც შესდგა 1922 წ. 11 დეკემბერს, გამოირკვა, რომ არც სოციალისტურ პარტიას, არც პროფკავშირების ოფიციალურ ლიდერებს არ სურთ დამოუკიდებელ მუშათა პარტიის დაარსება, როდესაც იმ დროს არსებულმა მუშათა და გლეხთა პარტიამ გამოუშვა მოსაწვევი ბარათები ა. წ. 3 ივლისის ყრილობაზე მონაწილეობისათვის, ცხადი გახდა, რომ მუშებს აღარ სწამდათ მუშათა ოფიციალურ ლიდერებთან ერთად ამერიკის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის დაარსება. ყოფილ მუშათა და გლეხთა პარტიის ლიდერებმა, როგორც, მაგალითად, ფიცპატრიკმა და სხვ., როდესაც დაინახეს, რომ დელეგატების ჩამოსვლა ჩიკაგოში ფაქტი იყო, იგრძნეს შიში. მათ მოაწყვეს ყრილობა გლეხთა პარტიის შესაქმნელად, შეუდგენ პირდაპირ თავიანთი ამოცანების განხორციელებას, დაიწყეს მუშაობა იმ მიზნით, რომ ჩაეშალათ ყრილობა, მაგრამ ყრილობა მუშათა და გლეხთა პარტიის ძველ ბიუროკრატებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ფიცპატრიკი და მისი მეგობრები სულ უ ნიშვნელო როლს თამაშობდენ ჩიკაგოში. კლეველენდში ისინი მოითხოვდენ გაერთიანებულ მუშათა და გლეხთა პარტიის შექმნას, ჩიკაგოში კი პროტესტს აცხადებდენ ამის წინააღმდეგ. კლეველენდის ყრილობის შემდეგ ფიცპატრიკმა განაცხადა, რომ მან გათიშა შეტევითი მოძრაობა სახელდობრ იმიტომ, რომ კლეველენდის ყრილობამ შექმნა მხოლოდ აუარება ცარიელი ფრაზები შეტევითი მოძრაობის შესახებ და ამავე დროს ის საბოტაჟს უცხადებდა დიდი გაერთიანებული მუშათა და გლეხთა პარტიის დაარსებას. ხოლო ჩიკაგოში იგივე ფიცპატრიკი, შეიარაღებული იმავე „ცარიელი ფრაზებით", ცდილობდა საბოტაჟი გამოეცხადებია მუშათა და გლეხთა პარტიის დაარსებისათვის. ფიცპატრიკი—გომპერსის ძველი მოწინააღმდეგე, ჩიკაგოს ყრილობაზე გამოდის სიტყვით კომუნისტების, მესამე ინტერნაციონალის, ფოსტერის წინააღმდეგ სიტყვით, რომელიც შეეფერებოდა თვით გომპერსს. ყრილობის დასაწყისში ფიცპატრიკს მხურვალედ მიესალმენ ყველა პარტიების წარმომადგენლები, ყრილობის დასასრულ კი ფიცპატრიკს შერჩა მხოლოდ 30—40 მომხრე. ის შემოდიოდა დარბაზში, როგორც მომავალი ბელადი ამერიკის მთელი მუშათა მოძრაობისა, ხოლო დარბაზიდან გავიდა სავსებით გარიყული პოლიტიკურად.

მუშათა და გლეხთა პარტიის ძველმა ბიუროკრატებმა ყოველივე ძალღონე იხმარეს იმისათვის, რომ ეხსნათ პარტია, მაგრამ სასწაულის მოხდენა ვერ შესძლეს, ვერ მოახერხეს მკვდრის გაცოცხლება.

ძველი მუშათა და გლეხთა პარტიის ცალკე ორგანიზაციების უმრავლესობა შევიდა ახალი გაერთიანებული მუშათა და გლეხთა პარტიის რიგებში. მასვე მიემხრენ აგრეთვე დელეგატები ვაშინგტონის, ოგაიო კენტუკის, ვისკონსინის, მონტანის, იდახოს და კალიფორნიის შტატებიდან. ახალ პარტიას შეუერთდნენ ყველა გლეხთა ორგანიზაციები ვისკონსინის, ნებრასკის და ორეგონის „უპარტიო ლიგა" ჩრდილოეთ დაკოტის, „შეტევის პარტია" ნებრასკაში და სამთო-მადნო მუშათა კავშირის დელეგატების უმრავლესობა (კარდა ორისა), ყრილობის 740 დელეგატიდან ფიცპატრიკის გარშემო დარჩა მხოლოდ 50 კაცი.

ამიტომ სოციალ-დემოკრატების განცხადება, რომ ახალი მუშათა და გლეხთა პარტია არ წარმოადგენს გაერთიანებულ პარტიას—მხოლოდ სასაცილოა. ასევე სასაცილოა იმის მტკიცება, რომ ახალი პარტია არის მხოლოდ სახელგამოცვლილი „უორკერს პარტი", ვინაიდან „უორკერს პარტი" მხოლოდ უმცირესობას შეადგენს ახალ პარტიაში.

ჩიკაგოს ყრილობაზე 740 დელეგატიდან „უორკერს პარტი"-ს ჰყავდა მხოლოდ 10 დელეგატი და 170 დელეგატი წარმოადგენდა მუშათა და სხვა ორგანიზაციებს და მიუხედავად ამისა, ეს ყრილობა იყო თითქმის ერთსულოვანი.

ყრილობას ხელმძღვანელობდა არა „უორკერს პარტი", არამედ ნამდვილ გაერთიანებულ მუშათა და გლეხთა პარტიის შექმნის იდეა. „უორკერს პარტი" იყო მხოლოდ მამოძრავებელი ძალა და იდეოლოგიური გამოხატულება მუშების და გლეხების დამოუკიდებელ პოლიტიკურ მისწრაფებებისა. ახალი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში „უორკერს პარტი"-ს წარმომადგენლები შეადგენენ უმცირესობას. „უორკერს პარტი"-ს პატივმოყვარეობის გულისათვის არ სურს კონტროლის გაწევა ახალი პარტიისათვის და მის მიზანს შეადგენს მხოლოდ კლასობრივი შეგნების და ბრძოლის სულის დაცვა ახალ პარტიაში.

600,000 მუშა და გლეხი, რომლებმაც შეადგინეს ახალი პარტია, ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ კომუნისტებს. ახალი პარტიის პროგრამაში კიდევ ბევრია თეორიული შეცდომები. მაგრამ პროგრამაში შედის ორი მუხლი, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ პარტია არასოდეს არ გახდება რეფორმისტული: 1) მასებმა ხელში უნდა ჩაიგდონ პოლიტიკური ძალაუფლება, ხოლო შემდეგ უნდა გაატარონ ცხოვრებაში საწარმოო იარაღების საზოგადოებრივი საკუთრების იდეია, 2) მიწა ეკუთვნის მას, ვინც მას დაამუშავებს.

ახალ პარტიას საძირკველი ჩაეყარა მაგრამ 3 ივლისის ყრილობა,—ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაფართოვოთ ეს მოძრაობა.

სასურველია, რომ მომავალში კვლავ ახალი კავშირები და ორგანიზაციები შემოვიკრიბოთ პარტიის გარშემო. ყველა შტატებში უნდა დაარსებულ იქნენ გაერთიანებულ მუშათა და გლეხთა პარტიის იაჩეიკები. დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ მზადებას პარტიის მეორე ყრილობისათვის, რომელიც მოწვეული უნდა იქნეს 1924 წლის დასაწყისში, ამ ყრილობაზე მონაწილეობა უნდა მიიღონ ათასობით დელეგატებმა; ამ მეორე ყრილობამ უნდა გააერთიანოს არა მარტო მემარცხენე ფრთა, არამედ მუშათა კლასის უმრავლესობა და უნდა გაიყვანოს ის შეგნებულ პოლიტიკურ ბრძოლაში ძველ კაპიტალისტურ კლასობრივ პარტიების და აგრეთვე ლაფოლეტის და ფორდის ჯურის საშუალო კლასობრივ მოძრაობის წინააღმდეგ.

„ინპრეკორ".

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

მოსკოვი. 23 აგვისტო. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ სახ. კომისართა საბჭოში შეიტანა პროექტი საკავშირო მნიშვნელობის მქონე სამრეწველო დაწესებულებების მმართველობის შესახებ. საკავშირო ს. მ. უ. ს. ხელმძღვანელობაში რჩებიან სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი ტრესტები და ის წარმოებები, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკების დაცვისათვის და მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენის ერთიანი გეგმის ცხოვრებაში გატარებისათვის.

სოფლის აღმასრულებელთა ინსტიტუტი.

მოსკოვი. 23 აგვისტო. რათა სოფლის საბჭოებმა თავის დროზე და შესაფერად გაატარონ ცხოვრებაში ცენტრის დადგენილებები, თვალყური ადევნონ საზოგადოებრივ წესრიგის დაცვას და სხვა, რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა სოფლის საბჭოებთან მოაწყოს სოფლის აღმასრულებელთა ინსტიტუტი. აღმასრულებელთათ ნიშნავენ სოფლის საბჭოები ორი თვის ვადით არა უმეტეს ერთი კაცისა 25 კომლზე. სოფლის აღმასრულებელნი პასუხისმგებელნი არიან ისევე, როგორც სხვა თანამდებობის პირნი და ემორჩილებიან სოფლის საბჭოებს. დადგენილება გადაეცა სრულიად რუსეთის ცაკს დასამტკიცებლად.

პეტროგრადის საბჭოს პლენუმი

გერმანიის კომპარტიის ც. კ. წევრის გერნლეს მოხსენება.

გერმანია—რევოლიუციის წინ სდგას.

პეტროგრადი. 24 აგვისტო. 24 აგვისტოს შესდგა პეტროგრადის საბჭოს პლენუმის სხდომა, რომელზედაც გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა გერნლემ, რომელიც ახლა-ხან ჩამოვიდა გერმანიიდან გააკეთა მოხსენება გერმანიის მდგომარეობის შესახებ.

გერნლემ განაცხადა: „გერმანია რევოლიუციის წინაშე სდგას. ბერლინში და სხვა ქალაქებში სასურსათო დუქნებთან ვეებერთელა რიგებია. **გერმანიის კაპიტალისტები აშკარა მოლაპარაკებას აწარმოებენ საფრანგეთის კაპიტალისტებთან, კოალიციონური მთავრობა ვერ იხსნის მდგომარეობას. სოციალ-დემოკრატიამ დაჰკარგა ყოველგვარი გავლენა მასსებში, მუშები გადადიან კომპარტიის რიგებში. „როტე ფანეს" ხელის მომწერთა რიცხვი უკანასკნელ ხანებში 20 ათასიდან 80.000 ავიდა. რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატი წევრები სრულიად მოსწყდენ მუშათა მასსებს. მოძრაობის ხელმძღვანელობა თვით მუშების ხელშია. მუშები უკანასკნელ ხანებში დიდ აქტივობას იჩენენ და აწყობენ წითელ რაზმებს.**

გერმანიია დიდი ამბების მოლოდინშია".

„გერმანია უფრო ახლოა რევოლიუციასთან ვიდრე ოდესმე".

გერნლეს მოხსენება შეავსო ამხ. ზინოვიევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაკოტრება მომხდარი ფაქტია. ეს პარტია ახლა განიცდის რუს ესერების ბედს. გერმანია ახლა უფრო ახლოა რევოლიუციასთან, ვიდრე ოდესმე".

რუსი მუშები დაეხმარებიან გერმანიის პროლეტარიატს.

პლენუმმა მიიღო მიმართვა ბერლინის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტის სახელზე, რომელშიც უგზავნის სალამს გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს და აუწყებს, რომ გერმანიის პროლეტარიატისათვის უზრუნველყოფილია ძმური დახმარება.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი.

ამხ. სემაშკოს ჩამოსვლა.

სოხუმი. 24 აგვისტო. გემ „ჰესტელ"-ით ბათომიდან მოსული საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო გაეცნო ადგილობრივ კურორტებს, დაათვალიერა გულრიის სანატორიუმი და გაემგზავრა ახალ ათონსა და სოჭისაკენ.

წვიმები და ნიაღვარი სამურზაყანოში.

სოხუმი. 25 აგვისტო. გამუდმებული წვიმებისა და ნიაღვრის გამო, სამურზაყანოში მთლად დაიღუპა სიმინდისა და ხორბლეულის მოსავალი. უფრო ნაყოფიერი ადგილები ნიაღვარმა წალეკა. გლეხებს საკუთარი პური არ გასწვდებათ. საჭიროა მთავრობის დახმარება და სესხად მიცემა სათესლე ხორბლეულისა: სულ საჭირო იქნება 60,000 ფუთი ხორბალი.

შავი ზღვის რკინის გზა.

სოხუმი. 23 აგვისტო. მოსკოვიდან მიღებული ცნობით, იქ კვლავ დაარსებულა კომისია შავი ზღვის სანაპიროზე, ტუაფსესა და ადლერის შორის რკინის გზის ლიანდაგის დასამთავრებლად. მუშაობის განახლება განზრახულია მომავალ წლიდან. საამისოდ გადადებულია 1 მილიონი ოქრო.

აზერბეიჯანი

პროლეტ-კინო.

ბაქო. 24 აგვისტო. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭომ აუცილებელ საჭიროებად სცნო შეადგინოს პროლეტ-კინოს სამმართველო, რომელშიაც შევლენ წარმომადგენელნი აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოსი, აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ბაქოს კომიტეტისა, განათლების სახალხო კომისარიატისა, სახალხო განათლების ბაქოს განყოფილებისა და სამთამადნო მუშა მოსამსახურეთა კავშირისა.

მეაბრეშუმეობა ფართოვდება.

ნუხა. 24 აგვისტო. ამ დღეებში ამუშავდება აბრეშუმის ამოსახვევი მე 5 სახელმწიფო ქარხანა.

კოოპერაცია სოფლად.

განჯა. 24 აგვისტო. ცენტრო-კავშირიდან საქონლის მიღების გამო, განჯის მაზრის სოფლის კოოპერატივებში მუშაობა გამოცოცხლდა. გლეხები მოამარაგეს პირველ საჭიროების ყველა საგნებით.

სომხეთი.

მადნეული წყალი.

ერევანი. 24 აგვისტო. სოფ. ძიაპარსის მახლობლად აღმოჩნდა მადნეული წყალი, რომელსაც უწოდეს „ჯენიალი"—სიცოცხლის „წყარო". ეს წყარო თითქმის ეთანაბრება ცნობილ ზელტერის წყალს. ამ ადგილას შემალნეული ხდება [illegible] არსება, რასაც ხელს უწყობს [illegible] ჰავა და საუცხოვო [illegible].

ახალი სოფელი.

ერევანი. 24 აგვისტო. [illegible] 5 ვერსის მოშორებით, ზანგიბასარის მიდამოებში საძირკველი ეყრება ახალ სოფელს „ნორ ანი"-ს. ადგილი უკვე მიზომილია. სოფლის დაგეგმვა სწარმოებს ხუროთმოძღვარ ტამანიანის პროექტით. შუა სოფელში გაშენდება ბაღი, სავაჭრო მოედანით. ამ ბაღიდან ქუჩები რადიუსებად დაჭრილავს სოფელს. აიგება სახალხო სახლი მთავრობისა და საზოგადოებრივ ყველა დაწესებულებათვის. განზრახულია აგება სკოლისა, ამბულატორიისა, აბანოსი, სავაჭრო სახლისა და სხვ. მიზომილ მიწის გარდა, ყოველ გლეხს მიეცემა სამოსახლო ადგილად 500 ოთხკუთხი საჟენი, სადაც გაშენდება ბაღები, ბოსტნები და მოეწყობა საფუთკრეები.

პარტიული ცხოვრება

კულტურული შეფობა სოფელზე

5 აგვისტოს, 1923 წ. მოხდა კულტურული შეფობის მიღება ს. გოლოვანზე, სახალხო სასურსათო კომისარიატის სატრანსპორტო გზის კომკავშირის და კომუჯრედების მიერ. სოფელზე მიახლოვებისას გზაზე შემოგვხვდა ადგილობრივი გლეხი მილიციონერი, რომელმაც დროშის დანახვაზე შეგვეკითხა: ამხანაგებო, სად მიხვალთო. ჩვენ მას განუმარტეთ საქმე რაშიც იყო. მან სოფელში ჩვენზე ადრე ჩაირბინა და შეატყობინა, რომ თქვენთან მოდიან ტფილისიდან ამხანაგებიო. მანქანა გაჩერდა, ჩვენ გადმოვედით და დროშის ფრიალით და რევოლიუციონური სიმღერებით გავუდექით გზას სოფლისაკენ, რომელიც დაშორებულია შოსესაგან თითქმის ორი ვერსის მანძილზე. სოფელში შესვლისას ჩვენს ინტერნაციონალის გაგებაზე წინ შემოგვეგებენ მოხუცი გლეხები პურ-მარილით. შემდეგ მათ მიგვიპატიჟეს იქ, სადაც ხალხს თავი მოეყარა და მიტინგი გავხსენით. პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პ. ცაგარელმა, რომელმაც ვრცლათ აღნიშნა კულტურულ შეფობის განსაკუთრებული მნიშვნელობა. შემდეგ ილაპარაკეს ამხ. არუთინოვმა, ჯანჯღავამ, რამოდენიმე ადგილობრივმა გლეხმა და ბოლოს გლეხმა მილიციონერმა, რომლის სიტყვებმა დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია, როგორც ადგილობრივ გლეხთა შორის, აგრეთვე მისულ მუშებთა შორისაც. იმ დღესვე გავასუფთავებინეთ ერთი ოთახი და დავაარსეთ ქოხ სამკითხველო.

მიტინგის დაშლის შემდეგ ადგილობრივ ახალგაზრდობის მიერ ცეკვა-თამაში გაიმართა, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა მისულ ამხანაგებმა, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია გლეხებს შორის. ყველა ამის შემდეგ გავეშურეთ თბილისში წამოსასვლელათ. შოსეზე, რომელიც დაშორებულია სოფელზე, მანქანაში ჩასხდომამდე, მთელი ახალგაზრდობა დიდის ალტაცებით და დიდის ენტუზიაზმით გვაცილებდა, რომელნიც მხოლოდ მანქანის დაძვრის შემდეგ დაბრუნდნენ სახლისაკენ ხელების ქნევით და ყიჟინით.

გაუმარჯოს სოფლისა და ქალაქის ასეთ ძმურ კავშირს და მოშავალს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც შესძლო ძმურ კავშირის ჩამოყალიბება სოფლისა და ქალაქის მუშების შორის.

პ. ც.

ქალთა განყოფილების ექსკურსია ავჭალაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტმა მოაწყო ქალთა დელეგატების ექსკურსია ავჭალაში.

დილის 6 საათზე დელეგატმა ქალებმა თავი მოიყარეს სადგურზე. ყველა ხალისიანი და მომღიმარია.

ქალები ჯგუფ-ჯგუფად დგანან წარმოების დარგის მიხედვით. შვიდის ნახევარზე გაისმა პირველი ზარი. ყველამ ვაგონს მიაშურა. მატარებელი დაიძრა. მიხედავად ვერ მოვასწარით, რომ უკვე ავჭალის სადგურზე გაჩერდა მატარებელი ყველანი ბაქანზე ჩამოლაგდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ გავემართენით ავჭალის წყალსადენისაკენ. ქალების აფერადებული ჯგუფ ჯგუფს მისდევდა.

წყალსადენის დასათვალიერებლად რამდენიმე ჯგუფად დავნაწილდით.

თითო ჯგუფში 30 ქალი იყო, დავათვალიერეთ სამანქანო განყოფილება, აუზები, ლარეშაპები, საგუბრები და სხვ. შესაფერს ახსნა-განმარტებას გვაძლევდა ყოველი ნაწილისას ინჟ. დიასამიძე: „ოცდაორი წელიწადია მტკვარს ვებრძვით, ძალიან გაგვირბოდა, მაგრამ წელს კი საბოლოვოდ დავიმორჩილეთ და წყალიც საკმაოდ მოდის. იმედი გვაქვს, რომ ქალაქის მცხოვრებლებს წყალი აღარ მოაკლდებაო"—გადმოგვცა დიასამიძემ.

გაკვირვებაში მოვედით იმ აუარება შრომით და ხარჯით, რამდენიც სჭირდება თურმე წყლის მოწოდებას. ინჟ. დიასამიძე ყველა შეკითხვებზე განმარტებას გვაძლევდა.

დიდად კმაყოფილნი დავრჩით წყალსადენის დათვალიერებით, დავიღალეთ კიდეც, ჰაერმა და შთაბეჭდილებამ თავისი გავლენა იქონია, მადაზე მოგვიყვანა და იქვე ტყეში მოვთავსდით საუზმისათვის. სიმღერა, ოხუნჯობა, სიცილ-კისკისი გაისმოდა ტყეში. ექსკურსიამ ყველანი ერთმანეთს გაგვაცნო, დაგვაახლოვა და ტფილისის სადგურამდე სიმღერა არ შეწყვეტილა.

ნეტავი ხშირად გვარგუნოს ბედმა ასეთი გონივრული გართობა.

რ.

ეს წერილი ძვირფასი დოკუმენტია საფრანგეთის იმპერიალისტების პოლიტიკის ასახსნელათ ჩვენ საკითხში. მენშევიკებს ეს წერილი დიდი სიხარულით მოყავთ თავის ჟურნალის ფურცლებზე: აჰა, ხომ ხედავთ საფრანგეთი როგორი სიმპატიით გვიცქერისო. ფაქტიურად ეს წერილი აგრეთვე უძვირფასესი დოკუმენტია მენშევიკების ყალბი პოზიციების გასაბათილებლად, რომელნიც თავიანთი გეგმებით ჩვენ სამშობლოს ევროპის საექსპლოატაციოდ გადაქცევას უპირებენ. ამ წერილის შესახებ მე სხვა ადგილას, წარსული წლის ივლისში შემთხვევა მქონდა მეთქვა შემდეგი:

„როგორც მკითხველსაც მოეხსენება ნავთის საკითხს დღეს დიდი და გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პოლიტიკაში. საქართველოს და მთელს ამიერ-კავკასიას ნავთის საკითხთან უახლოესი კავშირი აქვს: ამიტომ დიდ სახელმწიფოთა ინტერესი ჩვენი საკითხისადმი გაცხოველდა და ყოველი მათგანი თავიანთ ინტერესების მიხედვით ცდილობს შესაფერისი პოლიტიკა შეიმუშავონ. ამ მხრივ საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკა ამ საკითხშიაც დაუპირისპირდა ერთი მეორეს. ინგლისი ცდილობს საბჭოთა ფედერაციასთან მორიგების გზით ჩაიგდოს ხელში ნავთის კონცესიები, რაც ეწინააღმდეგება საფრანგეთის ინტერესებს. საფრანგეთსა და ბელგიას საკმაო ნაწილი კავკასიის ნავთისა ეკუთვნოდათ წინათ. დღეს ეს მთავრობანი იმის ცდაში არიან, რომ როგორმე ნაციონალიზაცია ქმნილი ქონებანი უკანვე დააბრუნონ და ამით გახდნენ რეალურად ბატონ-პატრონნი დიდი დოვლათისა. საბჭოთა ფედერაციამ კატეგორიულად უარი განაცხადა ასეთს მოთხოვნილებებზე და აღუთქვა მხოლოდ ანაზღაურება, ერთგვარი კომპენსაცია. მაგრამ საფრანგეთის იმპერიალისტები არ სცხრებიან და მათი პოლიტიკა დღეს განაპირა რესპუბლიკებისა, და მათ შორის ამიერ კავკასიისაც, საბჭოთა რუსეთის გავლენისაგან განთავისუფლებისაკენ არის მიმართული. მათ სურთ ამით დასცეს ამიერ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება და აღადგინონ ჩვენში მმართველობა მუსავატ-მენშევიკ დაშნაკელებისა, რომ შემდეგ პოლიტიკურად და ეკონომიურადაც დაეპატრონონ მთელს ამიერკავკასიას. ჩვენ კარგად გვახსოვს საფრანგეთის პოლიტიკა სულ ახალ წარსულში ჩვენდამი. მაშინ საფრანგეთი დიდი „განუყოფელ რუსეთის" ლოზუნგით გამოდიოდა და ყველაზე მეტად ებრძოდა ჩვენს დამოუკიდებლობას, რადგან იმედი ჰქონდა დენიკინ კოლჩაკის ბანდები აღადგენდნენ მთლიან რუსეთს. მაგრამ ისტორიულმა ვითარებამ და დიადი წითელი ლაშქრის უდრეკმა ნებისყოფამ საფრანგეთის იმედები დაამსხვრია და რუსეთში მუშურ-გლეხური ხელისუფლება მთელი თავისი სიძლიერით განმტკიცდა. დღეს საბჭოთა რუსეთი საერთაშორისო რეალურს ძალას წარმოადგენს და მისი შინაური კონტრ-რევოლიუციით დამარცხება შეუძლებელი ხდება. ამიტომ საფრანგეთმაც პოლიტიკა შეიცვალა და დიპლომატიური ვარჯიშობით ცდილობს ფონს გასვლას. დღეს რეაქციონური საფრანგეთი მენშევიკურ საქართველოს აღდგენის მხურვალე დამცველი არის. ეს მისი პოლიტიკა ლოღიკურად გამომდინარეობს იმ საერთო პოლიტიკიდან, რომელსაც დაადგა საფრანგეთი რუსეთის მიმართ. რასაკვირველია ამ შემთხვევაში მას აინტერესებს არა საქართველოს ეროვნული ინტერესები და განდევნილ მენშევიკების შელახული უფლებები, არამედ თავისი იმპერიალისტური გეგმები და უწინარეს ყოვლისა ნავთის საკითხი. ზემოდ მოყვანილი წერილი ნათლად გამოხატავს საფრანგეთის ამ პოლიტიკას და იმ გზას, რომელსაც ადგებიან რეაქციის მოციქულები ამიერკავკასიის საკითხში".

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: უტროსის საუცხოვოდ ესმის ნავთის მნიშვნელობა და მისი ღირებულება მრეწველობის საქმეში; იგი სწერს: „ამა თუ იმ ერის კეთილდღეობა დამოკიდებულია ამ ერის ნავთის პოლიტიკაზე"... ნავთის რაიონების ბოლშევიკების ხელში დატოვებით ბოლშევიკებს მიეცემათ უძლიერესი ფაქტორი მათი რეჟიმის გამაგრებისათვის". ამიტომ უტროთი ადგენს გარკვეულ პროგრამას საბჭოთა ხელისუფლებიდან ნავთის რაიონების წართმევის შესახებ; მასთანვე ის იძლევა გარკვეულ საშუალებებს ამ მიზნის მიღწევისათვის; ამ საშუალებათა მასს ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამიერ-კავკასიის ყოფილ მთავრობების მოწვევისა და მათი დახმარებით ბრძოლის გაჩაღებას საბჭოების წინააღმდეგ.

პუანკარეს მთავრობამ დაუჯერა დეპუტატ უტროის რჩევას, რომ კავკასიის საკითხი დაესვათ გენუას კონფერენციაზე და პოლიტიკურ ქვე-კომისიაში წამოაყენა ბარტუს პირით ჟორდანიას მთავრობის კონფერენციაზე მოწვევის საკითხი. ასეთი პოლიტიკა საფრანგეთს სჭირდებოდა აგრეთვე ინგლისის წინააღმდეგაც, რომელიც დაუპირისპირდა საფრანგეთს ნავთის საკითხში, უკანასკნელი კი ამერიკის კარნახით მოქმედებდა. ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობაზე გაკვრით უტროიც მიგვითითებს. „ტანი"—საფრანგეთის ოფიციოზი გარკვეულ კამპანიას ეწეოდა ინგლისის წინააღმდეგ წერილში: „ანტანტა გრძელდება", რომელშიაც შემდეგს ვკითხულობთ: „როგორც სჩანს ინგლისის დელეგაციაში უნდა ფიქრობდენ, რომ გენუაში საქართველოს კანონიერად წარმოადგენს ერთი ბოლშევიკი, რომელიც თავის თავს ქართველს უწოდებს და რომელიც საბჭოების დელეგაციაში შედის. **ალბათ ამ მოსაზრებით ბრიტანეთის დელეგაციას შესაძლებლად უნდა მიაჩნდეს რუსეთის ნავთის საკითხის გადაჭრა საქართველოს ძველი იურიდიულათ ცნობილ მთავრობის და ქართველი ხალხის დაუკითხავად, რომელზედაც დღეს ბოლშევიკები გაბატონდნენ.** ჩვენ არა ვართ გაცნობილი ყველა იმას, რაც ამ საქმის უკან ხდება, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ბრიტანეთის დელეგაციის აზრი არ ეთანხმება სავსებით არც იმ პრინციპებს, რომლებიც დღემდე იყო აღიარებული და არც შეერთებულ შტატებში გამეფებულ შეხედულებას".

როგორც ვიცით საქართველოს საკითხის გარშემო დიპლომატიურ ნოტების გაცვლა-გამოცვლასაც ჰქონდა ადგილი მოკავშირეთა და საბჭოთა წარმომადგენელთა შორის. საფრანგეთის პრესამ მენშევიკების ცნობის თანახმად ასტეხა აურზაური, აუწყა მთელ ქვეყანას ის საშინელებანი, რომელიც ხდებოდა „დაპყრობილ საქართველოში ბოლშევიკების ვანდალურ ძალების წყალობით": ხალხი გმინავს საშინელ ტვირთის ქვეშ და აჯანყება-აჯანყებაზე ვითარდება, **ისეთი სამრეწველო რაიონი, როგორც არის სვანეთი; ფართო რკინის გზებითა და კულტურული დონით, აჯანყების ცეცხლში არის გახვეული".**

ასეთი იყო მენშევიკების ლაბორატორიაში შეთხზული ცნობები, რასაც გულმოდგინეთ იყენებდა საფრანგეთის წარმომადგენელი თავისი მიზნებისათვის. ფაქტიურად ჩამორჩენილსა და უკულტურო სვანეთში, სადაც ყაჩაღობა და ბანდიტიზმი ყოველთვის განვითარებული იყო, რამოდენიმე ბანდიტმა უწესოება მოახდინა და ამ გარემოებამ საშვალება მისცა ევროპის აწეწილ საქმეებით დატვირთულ დიპლომატებს თავიანთი მეტად ლმობიერი გულისყური კულტურულ სვანეთისაკენაც მიეპყრათ. ასეთ პირობებში საბჭოთა დელეგაციას ბევრი ენერგია არ დახარჯვიათ შეთხზულ სიცრუის გასაბათილებლად და ბარტუც იძულებული შეიქმნა მთელი თავისი დოკუმენტები მენშევიკების დიპლომატებთან ერთად თავის დიპლომატიურ პორთფელში უკანვე ჩაემალა.

ეს ფაქტები ახლა უკვე ისტორიას ეკუთვნიან, მაგრამ მენშევიკების პოლიტიკის დასახასიათებლად მაინც საინტერესოა მათი მოგონება. მათ შესწევთ უტიფრობა, თავიანთ ორგანოს ფურცლებზე განაცხადონ, რომ გენუამ მათი „ეროვნული მთავრობა იცნო" და სხვ. თუ რამდენათ სწორი იყო ეს, ამას მოწმობს ის დიდი სკანდალი, რომელიც მოუვიდა მათ პროტექტს ბარტუს, როდესაც ის **იძულებული შეიქმნა თავისი წინადადება მოეხსნა და მენშევიკების წარმომადგენლის მოწვევის საკითხზე უარი ეთქვა.**

ხ. ხ.

ეკონომიური ცხოვრება

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში.

ოპერაციების წარმოების შესახებ უცხო კაპიტალის მონაწილეობით.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობამ წინადადება მისცა სავაჭრო განყოფილებას შეატყობინოს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ყველა განყოფილებებს და კანტორებს, რომ მათ არავითარი ოპერაციები არ აწარმოონ დამოუკიდებლივ უცხო კაპიტალის მონაწილეობით და მიიღონ კომერსანტებიდან შეკვეთა საიმპორტო საქონელის შემოტანისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკვეთის მიღების პირობები დამტკიცებული იქნება ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობის მიერ.

იტალიაში გასატან საქონლის შესახებ.

გამგეობამ დაადგინა შეიძინოს „ცეკავშირის"-აგან 5000 ფუთი აბრეშუმის პარკი და იღებს შემდეგ გაგზავნოს იტალიაში (გენუაში ან ვენეციაში) რეალიზაციისათვის. დანარჩენ გასატან საქონლის შესახებ სავაჭრო განყოფილებას დაევალა წარმოადგინოს თავისი დასკვნა. ამიერ-კავკასიაში იტალიიდან შემოსატან საქონლის საკითხი ჯერჯერობით ღიათ დარჩა და მათი სიის შემუშავება დაევალა ამხ. ამირაღოვს, როდესაც ის გაემგზავრება დასავლეთ ევროპაში.

ტრაქტორების გამოცდა

იტალიიდან მიღებულია ორი ტრაქტორი, რომელთა გამოცდა მოხდება საჩქაროთ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობის წევრის ამხ. ვეზიროვისა და საზღვარგარეთელ განყოფილების გამგის ამხ. არუთინოვის მიერ.

ნაწლავების ახალი აქციონერული საზოგადოება ამიერ-კავკასიაში.

ამას წინათ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ინიციატივით დაარსდა აქციონერული საზოგადოება, რომლის დანიშნულებაა ნაწლავების და საქონლის დაკვლისაგან დარჩენილ სხვა ნაწილების დამზადება, გადამუშავება და რეალიზაცია. საზოგადოებას ეწოდება „ზაკუტილსირიე" („Закутильсырье").

აღნიშნულ საზოგადოების დამაარსებელნი არიან: ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, აზერბეიჯანის ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატი და სომხეთის ვაჭრობის სამმართველო.

საზოგადოების ძირითადი კაპიტალი შესდგება 200.000 ჩერვონეცის მანეთიდან ბანკნოტებში, რომელიც დაყოფილია 200 აქციათ 1000 ჩერვონეცის მანეთით თვითეულში. კაპიტალი შესდგება:

1. სახელმწიფო კაპიტალისაგან—120.000 ჩერ. მან. II. კერძო (უცხო) კაპიტალისაგან—80.000 ჩერ. მან.

კაპიტალის სახელმწიფო ჯგუფი განაწილებულია შემდეგ დაწესებულებებს შორის:

1) ამიერკავკასიის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი—15 აქცია 15.000 ჩერ. მანეთის.

2) ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს—40 აქცია 40,000 ჩერ. მანეთის.

3) აზერბეიჯანის ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარიატი—40 აქცია 40.000 ჩერ. მანეთის.

4) სომხეთის ვაჭრობის სამმართველო—10 აქცია 10,000 ჩერვ. მანეთის.

5. აზერბეიჯ. უ. ზ. უ.—15 აქცია 15.000 ჩერ. მან.

კერძო უცხო კაპიტალის ჯგუფს ეკუთვნის 80 აქცია 80.000 ჩერ. მანეთის, ე. ი. აქციების საერთო რაოდენობის 40 პროც.

ამას გარდა საზოგადოებას შეუძლია გაადიდოს თავისი ძირითადი

კაპიტალი თუ ამას მოითხოვს საქმის მდგომარეობა.

კერძო კაპიტალის სახით გამოდის უცხოელი მსხვილი ბანკი, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს გერმანიისა და ამერიკის ფინანსიურ წრეებთან.

აღნიშნულ ბანკის გარდა დასახელებულ საზოგადოებაში, ალბათ, შევლენ აგრეთვე უცხოეთის ნაწლევების მსხვილ ფირმების წარმომადგენლები, როგორც აქციონერები.

აქციონერთა კრების მიერ მიღებულ იქნა საზოგადოების წესდების პროექტი, რომელიც წამოყენებული იყო ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ, აღნიშნული პროექტი იგზავნება ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში საბოლოო დასამტკიცებლათ.

საზოგადოების არჩეული გამგეობა, თანახმად აქციონერთა კრების დავალებისა, შეუდგა შემსყიდველ აპარატის მოწყობას.

საზოგადოების მოღვაწეობა ჯერჯერობით განისაზღვრება ამიერ-კავკასიის ტერიტორიით. შემდეგში საზოგადოებას განზრახვა აქვს შეისყიდოს ნაწლევები ამიერ-კავკასიის გარეშეც, მეზობელ სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

მოკლე დროის განმავლობაში საზოგადოებამ მოახერხა საქმიანი კავშირის დაჭერა ზოგიერთ აპარატებთან, რომელნიც ამზადებდენ ნაწლევებს წარსულში.

არის წინადადები სხვადასხვა ფირმებიდან და პირებიდან ნაწლევების, როგორც მსხვილ, ისე წვრილ პარტიების მიწოდების შესახებ.

საზოგადოების მოქმედებისადმი ინტერესს იჩენენ აგრეთვე ზოგიერთი ჩვენი მეგობრული რესპუბლიკები, რომელნიც ნაწლევების ოპერაციებს უთანხმებენ საზოგადოების ოპერაციებს. როგორც შინაურ, ისე საგარეო ბაზრებზე პროდუქციის გასაღების საქმეში.

ამ დღეებში საზოგადოების გამგეობა გზავნის თავის წევრებს სომხეთში, აზერბეიჯანში, შემდეგ ბათომში და ამიერ-კავკასიის სხვა პუნქტებში ნაწლევების უკვე დამზადებულ პარტიების შესასყიდავათ და მუდმივ შემსყიდავ აპარატის მოსაგვარებლათ ადგილებზე.

საზოგადოების გამგეობა იმყოფება ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 5, ამიერ-კავკასიის. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შენობაში.

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(25 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	34,700
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.—	2,400
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	34,400
ჩეკები —	32,400
დოლარები ეფექტ. —	7,750
„ ჩეკები —	7,050
ოსმ. ქაღ. ლირა	4,950
იტალიური ლირა — —	250
ფრანგული ფრანკი —	340
საბჭ. ფულის ნიშ.	19

მუშკოპის ფასები.

(25 აგვისტო).

პური გირ.—150 ათ. ნატეხი შაქარი—1.800 ათ., ფხვნილი შაქარი—1.450 ათ. ძროხის ხორცი—550. ცხვრის ხორცი—700. თუშური ყველი 1.200 ათ. მაკარონი—475. ვერმიშელი—450. ერევნის ბრინჯი—375. წითელი ლობიო—60. კართოფილი—75. კომბოსტო—250. საპონი „ტოლლე“—950. მზესუმზირ ზეთი—825. ქვა მარილი—150. კვერცხი—10 ც. 650 ათ. მარმარილოს საპონი—900.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(25 აგვისტო).

პური 1 ხარ.—270—300 ათ. პური 2 ხარ170.—200 ფქვილი 1 ხარ.—350. ნატეხი შაქარი—2.200 ათ. ფხვნილი შაქარი—1.800. ერბო1.800—2 მილ. კარაქი—1.600—1.800 მზესუმზირას ზეთი—1 მილ. თუშური ყველი—900—1 მილ. იმერული ყველი—650 ათასი. ძროხის ხორცი 600—ცხვრის ხორცი—800.—850, კართოფილი—80—100. წითელი ლობიო—80. მწვანე ლობიო—100 პამიდორი—300—350, კომბოსტო—250. საპონი „ტოლლე“ 1 მილ. კვერცხები 10 ც. 650 ათასი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(25 აგვისტო)

ფხვნილი შაქარი. რუსეთის ნარმა. კანიფოლი ბორჯომის. ფრანგული სკიპიდარი. იტალიანური კონსერვები. გაზისა და წყალსადენის მილები. ინგლისური თეთრი თუნექი. გამომწვარი აგურები. მზესუმზირას ზეთი რუსეთის. ფანჯრის მინები. ბოთლები. კაუსტური სოდა რუსეთის, რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები. ასანთი რუსეთის ს. მ. უ. ს. საფეიქრო-საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროსიის. სახურავის რკინეულობა. ქაღალდი და კარტონები. რკინეულობა.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(25 აგვისტო)

ნარმა. უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი. ყუბანისა და ადგილობრივი ფქვილი. ნედლი ტყავები. სალამასი კრასნოდარის. ცემენტი პორტლანდის. შვეიცარული ყველი. მავთული. ინგლისური თეთრი თუნუქი. ინგლისური შაბიაბანი, ნახიჩევანისა და ბახმუტის ქვა მარილი. ტომრები. ცეილონის ჩაი. გოგირდი „ბუდა“. ადგილობრივი და ყუბანის ფქვილი. კარტონები. კალა. კანიფოლი. საკვები ფქვილი. ქერი. მზესუმზირას ზეთი რუსეთის.

ბირჟის საქონლის განყოფილების გარიგებანი.

(25 აგვისტო)

კაუსტიური სოდა რუსეთის 0,65 ჩერვ. ფუთი, ფრანკო—სად. თბილისი. სოდა კაუსტიური 0,6 ჩერვ. ფუთი, ფრანკო სად. ტფილისი.

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

ტფილისის საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება 25 აგვისტოს — მტკიცეა.

პროფკავშირებში

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს ცირკულიარი.

პროფესიონალური ორგანიზაციების სახელზე გაგზავნილ ცირკულიარში სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭო მიუთითებს, რომ უკანასკნელ ხანებში ფინანსიური ორგანოები უშვებდენ შეცდომას მოსამსახურეთათვის ჯამაგირის დიდი ნაწილის მომგებიანი სესხის ობლიგაციებით გადახდით. არ იყო სწორი აგრეთვე მომგებიანი სესხით ობლიგაციების მუშა-მოსამსახურეებს შორის განაწილების მეთოდი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭო იუწყება, რომ მიღებულია დადგენილება ჯამაგირების 10 პროც ის მომგებიანი სესხის ობლიგაციებით გადახდის შესახებ. ობლიგაციები უნდა განაწილდეს ჯამაგირების სიდიდის მიხედვით. ჯამაგირში, რომელიც ოც ჩერვონეცის მანეთს უდრის თვეში უნდა მიეცეს 3 პროც. ობლიგაციები. ჯამაგირის გადიდებასთან ერთად დიდდება აგრეთვე მისაცემ ობლიგაციების პროცენტის. ჯამაგირზე, რომელიც 90 ჩერვონეცის მანეთს აღემატება, ობლიგაციებით უნდა მიეცეს 20 პროც.

მიწა-ტყის კავშირში.

კულტ-მუშაობა უმუშევართა შორის

პრეზიდიუმის დადგენილებით წინადადება მიეცა კულტ-განყოფილების გამგეს ამხ. ბედუკიძეს, აღრიცხოს კავშირის წერაკითხვის უცოდინარი უმუშევარი წევრები და მიიღოს ზომები მათთვის სათანადო კურსების დასაარსებლად. ამასთანავე კავშირმა დაადგინა დაუნიშნოს ფულით დახმარება ხსენებულ სკოლაში მოსიარულე უმუშევრებს.

ურთიერთ დამხმარე კასის დაარსება

ქართლის მამულში დაარსდა საურთიერთო დამხმარე კასა. კასის ბიუროს წევრებად არჩეულია ამხ. ამხ. დოლიძე, გოგიაშვილი, გულაშვილი და ზედგინიძე.

ფოსტა-ტელ. მუშაკთა კავშირში.

მე-3 პლენუმის მოწვევა.

27 აგვისტოს დანიშნულია ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის საოლქო კომიტეტის მე-3 მე პლენუმი. დღის წესრიგში დასმულია: 1) მოხსენებები პრეზიდიუმის და სახალხო კომისარისა. 2) საორგანიზაციო, კულტ-განმანათლებელი და შრომის დაცვის საკითხები, 3) დელეგატების არჩევა სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის მე-8 ყრილობაზე, 4) კომპარტიის მიერ ეროვნულ საკითხზე მიღებულ დადგენილების პრაქტიკულად გატარება პროფ-ორგანიზაციებში და 5) მიმდინარე საკითხები.

წითელ დაფაზე.

ამხ. მაზმანოვი, რომელიც ჯირგინის შეკეთებას ხელმძღვანელობდა, ტელეფონის ქსელის მუშკომის დადგენილების თანახმად პრეზიდიუმმა წითელ დაფაზე აღნიშნა.

საუკეთესო ხელოსნები

ამხ-ბი ფრიდრიხ რეში და კუდინოვი, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლების დროს შეაკეთეს სპეცების მიერ გამოუსადეგად ცნობილი ჯირგინები, ტელეგრაფის ქსელის მუშკომის დადგენილებით, წარდგენილ იქნენ საუკეთესო ხელოსნების სახელწოდების მისაღებად.

ქრონიკა

— **მენშევიკების მიერ გერმანიაში გაზიდულ სარკინიგზო მასალის შესახებ.** საქ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, დაევალოს საგანგებო კომისიას მიწად-მოქმედების კომისარიატის, იუსტიციის კომ. და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის წარმომადგენლების შემადგენლობით გამოარკვიოს, თუ რა საქონელი და რამდენი იქნა დაბრუნებული და რომელ ორგანოთა შორის უნდა იქნეს განაწილებული გაწეული ხარჯების რაოდენობა.

— **პატიმართა ულუფის გადიდება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა შინაგან საქ. სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი—გასწორებელ სახლებში მყოფ ტუსაღების გადიდებული ულუფის ახალი ნორმა.

— **ფირმა „სოსიფროსი“.** სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ფირმა „სოსიფროსის“ საქონლის საჯარო გაყიდვა გადაიდო ხსენებულ ფირმის წარმომადგენლის ჩამოსვლამდე.

— **რევოლიუციისა და მეცნიერების მოღვაწეთა უზრუნველყოფა.** საქ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი—რევოლიუციის, მეცნიერების და ხელოვნების მოღვაწეთა უზრუნველყოფის შესახებ ზოგიერთი შესწორებით.

— **საგადასახადო შეღავათი.** ამავე კომისარიატმა დაადგინა სოც. უზრ. სახ. კომისარიატის დაწესებულებებს მიენიჭოს საგადასახადო შეღავათი.

— **აგარაკებზე არსებულ ტყეების და საძოვრების შესახებ.** წინადადება მიეცა სახ. კომისარიატის საბჭოსაგან მიწადმოქმედების კომისარიატს, აგარაკებზე არსებულ ტყეების და საძოვრების საკითხი გამოარკვიოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატთან ერთად.

— **საპასუხისმგებლო შრომის ამხანაგობის დაარსება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი დებულების პროექტი საპასუხისმგებლო შრომის ამხანაგობათა (არტელის) დაარსების შესახებ.

— **თავის ჩამოხრჩობა.** 23 აგვისტოს სოფ. წოდორეთში თავი ჩამოიხრჩო ადგილობრივ მცხოვრებმა ბალახან მამედ-კოზემ. მიზეზი გამოურკვეველია.

— **სახაზინო ფულების გაფლანგვისათვის.** მოქ. ნიკოლოზ დაურჩინმა სახაზინო ფულების გაფლანგვის გამო სასიკვდილოთ თავი დაიჭრა თოფით.

— **სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.** ქალ. აღმასკომის სამმართველომ ერთი კვირით დააპატიმრა გერმანე ახვლედიანი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

— **შავ ბირჟაზე.** შავ ბირჟაზე ვალიუტით ვაჭრობისათვის კონფისკაციის წესით ჩამოერთვათ—სააკ ისრაელიანცს და ვას. ეგანოვს—6 ოსმალური ლირა, ტიგრან მიკირტიჩიანს—10 ლირა, ოგანეზ შავშეტიანცს 340,000,000 მ. ა. კ. ნიშნები, 30 მ. ოქროთი და 6 ნახ. ოსმალური ქაღ. ლირა.

— **დაჯარიმება.** აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს განყოფილებამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დააჯარიმა: ალ. მელიქ საკოვი—1 ჩერვონეცით, დუბელირი—1 ჩერ. და ლიმონათის ქარხნის პატრონი ელიზბარიანცი—10 ჩერვონეცით.

— **შრომის ბირჟა.** 24 აგვისტოს. შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 220 უმუშევარი, (ახალი უმუშევრების ჩაწერა არ მომხდარა) სამუშაოზე გაიგზავნა 56 უმუშევარი.

— **შრომის კანონის დარღვევისათვის.** შრომის კანონის დარღვევისათვის შრომის სასამრთლომ დააჯარიმა მოვაჭრე გოპაძე 25 მან. ჩერვონცებით.

შრომის კანონის-კოდექსი ქართულ ენაზე. შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა გამოსცეს შრომის კანონთა კოდექსი ქართულ ენაზე.

— **დახმარება შრომის უნარ დაკარგულ მასწავლებელ ქალებს.** ბორჩალოს მაზრის დამზღვევ კასამ შუამდგომლობა აღძრა ცენტრალურ სოციალურ დამზღვევ კასის წინაშე დროებით შრომის უნარ დაკარგულ მასწავლებელ ქალთათვის დახმარების მიცემის შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია

— **ჩქარი მატარებლების რიცხვის შემოკლება.** შემუშავებული იქნა პროექტი ჩქარი სამგზავრო მატარებლების რიცხვის შემოკლების შესახებ, რომლის ძალითაც ივლის მხოლოდ 3 ჩქარი სამგზავრო მატარებელი შემდეგი მარშრუტით:—მოსკოვი-ბაქო, მოსკოვი-ბათომი, ტფილისი—პეტროგრადი.

— **მატარებლების მიმოსვლის დროის შეცვლა.** მუშავდება და 1 ნოემბერს გამოქვეყნდება სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის დროის შეცვლის დადგენილება.

— **ცეცხლი.** 22 აგვისტოს ხაშურში ნავთის მიმწოდებელ სადგურს გაუჩნდა ცეცხლი, სასწრაფო მიღებული ზომებით ცეცხლი ჩაქრობილ იქნა.

— **ხიდის შეკეთება.** მაიდანის ხიდის შეკეთება უკვე დასრულდა. მიმოსვლა აღდგენილია.

— **ქურდობა.** მე-9 სამილიციო უბანში ღამით გაქურდეს მოქ. ქურდევანიძის ბინა, საიდანაც წაიღეს რამდენიმე მილიარდის ნივთები. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედების შესაპყრობათ.

— **აჭარის სახალხო მომღერალთა გუნდი.** 23 აგვისტოს, ბათომში, ახლად დაარსებულმა აჭარის მომღერალთა გუნდმა გამართა კონცერტი. გუნდს განზრახული აქვს კონცერტები გამართოს მთელ საქართველოში.

— **დამზღვევ კასაში.** დამზღვევ კასის პრეზიდიუმის დადგენილებით დამზღვევ წიგნაკების დარიგების ვადა გადადებულია 1 სექტემბრამდე.

— **მეცადინეობის განახლება დრამატიულ სტუდიაში.** ა. ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ სტუდიაში მეცადინეობა განახლდება 20 სექტემბერს. ახლების გამოცდა და მიღება მოხდება 25 და 26 სექტემბერს. საერთო მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

— **სტუდიის რეპერტუარი.** აღნიშნული სტუდია მომავალ სეზონში შეუდგება საკუთარი რეპერტუარის შექმნას. პირველ რიგში განზრახულია შემდეგი პიესების დამუშავება: „ადამიანი — მასსა“ — ტოლლერის, „გმირი“—სინგის, „ტურანდოტ“ — კარლო გოცის და სხ.

— **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის № 194 პარტიულ კალენდარში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ადგილების განაწილების შესახებ ცნობაში სწერია: რაჭის მაზრა—სახელმწიფო უნივერსიტეტი—1, პოლიტეხნიკუმი—1. უნდა იყოს: სახ. უნივერსიტეტი—5, პოლიტეხნიკუმი—1.

მილიციის საყურადღებოდ

იარმუკაში (სალდათის ბაზარი) თავი მოუყრია ბნელი საქმეების გმირების ჯგუფს. ამ ჯგუფის წევრებს თვითეულს იღლიაში აქვს ამოჩრილი ჩითის ნაჭრები, ძველი, გაძენძილი და ზომით ნაკლები. ისინი მთელი დღე იარმუკაში დაძრწიან და ეძებენ თავის საკბილოს. დაინახავენ თუ არა გლეხკაცს სოფლიდან ჩამოსულს, იმ წუთშივე იქ გაჩნდებიან, გამოიღებენ იღლიიდან ჩითის ნაჭერს და ეუბნებიან: „იყიდე, იაფია“. გლეხკაცსაც იაფი უნდა და იწყობს ვაჭრობას. ამ დროს წამოეშველებიან სხვა წევრებიც და ისინიც იწყებენ ვაჭრობას. დაბოლოს ერთი იმათგანი ყიდულობს ჩითს. ახლა მოდის მეორე და ისიც გლეხ-კაცს აჩვენებს სხვა ნაჭერს: „მე უფრო იაფათ მოგცემო“. გლეხიც ებმება ამ მატყუარების ანკესზე; ყიდულობს, ისეთ ფასს აძლევს, რომ მაღაზიაში ორჯერ იაფათ შეიძენდა. ამრიგად ამ მატყუარების ჯგუფი უკანასკნელ ნაოფლარს ართმევს სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს. საჭიროა მილიციამ მიაქციოს ყურადღება ამ „გმირების“ „მოღვაწეობას“ და შესაფერი ადგილი „უჩვენოს“ მათ.

მუშკორი ასოთ-ამწყობი.

პროვინციაში

ხაშური.

სულ რამოდენიმე თვეა, რაც ქ. ხაშურში შესდგა კულტურული კომისია და ამ ხნის განმავლობაში მრავალი სიმპატიური საქმე გაუკეთებია მას და მრავალიც განზრახული ჰქონიათ გასაკეთებლად, როგორც ეს მათი ოქმებიდან სჩანს, მაგრამ ტეხნიკური დაბრკოლებების გამო და განსაკუთრებით ფინანსების უქონლობით, ზოგიერთი განზრახვა ჯერ სისრულეში არ არის მოყვანილი. კომისიას თავმჯდომარეობს ადგილობრივი ტეხნიკუმის გამგე, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ილია ფერაძე, რომელმაც თავისი ენერგიული შრომით საქმე, მუშაობა კულტურულ დარგში, სათანადო სიმაღლეზე დააყენა.

კომისიაში შედიან წარმომადგენლები ადგილკომისა, ახალგაზრდა კომკავშირისა და ადგილობრივი რკ. გზის კულტ. განყოფილებისა. სამწუხაროდ კომისიაში არ შედის მუშების თვით მუშებისაგან არჩეული წარმომადგენელი, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

ა | წ. 2 აგვისტოს შესდგა ზემოთ აღნიშნული კომისიის მორიგი სხდომა, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. დაარსება ქ. ხაშურში ერთ საფეხურიანი სკოლისა მუშებისათვის.
2. მუშათა ფაკულტეტის დაარსება ხაშურში.
3. ლექციების კითხვის შესახებ სახალხო უნივერსიტეტში.
4. მოხსენება დრამატიული დასის ხელმძღვანელთა.
5. მოხსენება წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგისა.

1. თავმჯდომარე ილია ფერაძე აღნიშნავს, რომ მუშათა კლუბთან არსებულ სახალხო უნივერსიტეტში მოსიარულე ზოგ მუშებს არ ესმით ლექციების შინაარსი მათი კლასიკური მოუმზადებლობის გამო და ამიტომ, თანახმად თვით მუშების თხოვნისა, საჭიროა გაიხსნას მათთვის ერთ საფეხურიანი ერთ წლიანი სკოლა, სადაც მუშები შეისწავლიან იმ აუცილებელ საგნებს, რომელნიც საჭიროა ლექციების მოსასმენადო.

კომისიამ, იქონია რა ამაზე მსჯელობა, საჭიროდ სცნო დაარსდეს ხაშურში ასეთი სკოლა, რისთვისაც არჩეულ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ხარჯთაღრიცხვის შედგენა და შუამდგომლობის აღძვრა, ვისთანაც ჯერარს.

2. მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ხაშური წარმოადგენს მუშათა ცენტრს. დაარსებულია აქ, ეგრედ წოდებული, მოსამზადებელი კურსები მუშათა ფაკულტეტში შესასვლელად, რომელსაც ხელმძღვანელობს თვით ტეხნიკუმის გამგე ფერაძე. წელს ეს კურსები დაამთავრა რამდენიმე მუშამ, რომლებიც უნდა გაიგზავნონ მუშათა ფაკულტეტებში, ამიტომ აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია კულტკომისიას დაარსდეს ქ. ხაშურში მუშათა ფაკულტეტი, რისთვისაც საკმაო ძალები მოიპოვება თვით ხაშურში. კომისიამ დაავალა ზემოთ აღნიშნულ კომისიას აღძრას სათანადო შუამდგომლობა სახალხო განათლების კომისარიატთან, რომელიც იმედია დააკმაყოფილებს ამ შუამდგომლობას. პრეზიდიუმს კი დაევალა ვრცელი მოხსენება გააკეთოს ამის შესახებ მუშების საერთო კრებაზე.

3. მუშათა კლუბთან არსებულ სახალხო უნივერსიტეტში იკითხება ლექციები ადგილობრივი მასწავლებლების მიერ სხვადასხვა დარგიდან. ლექციების კითხვა სასურველად მიდიოდა, აღნიშნავს რკ. გზის კულტ. განყ. გამგის მოადგილე ამხ. სეფერთელაძე, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ხშირი მოვლენაა, რომ ზოგერთი ლექტორები არ ცხადდებიან ლექციებზე დანიშნულ დროზე და ხშირად ლექციების კითხვასაც თავს ანებებენ, რაც მუშებში უსიამოვნებას იწვევსო.

კულტ-კომისიამ ეს მართლაც დაუშვებლად სცნო და დაავალა ლექტორთა ბიუროს გამოასწოროს და მოაგვაროს ეს ანორმალური მოვლენა.

4. მუშათა კლუბთან არსებულ დრამატიული დასის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა დასის ხელმძღვანელმა ვ. ხოზერიძემ. მისი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიუხედავად მრავალ დაბრკოლებებისა, როგორიც არის, მაგალითად, დეკორაციის, რეკვიზიტის და პიესების უქონლობა, დასმა შესძლო მაინც გადაელახა ეს დაბრკოლებანი და მუშაობა ნორმალურად ეწარმოებია.

კულტკომისიამ დამაკმაყოფილებლად სცნო მუშაობა დასის ხელმძღვანელისა და მოუწოდებს მას გამოესწორებიოს ის ნაკლი, რომელზედაც მიუთითა ზოგიერთმა კომისიის წევრებმა.

5. რკ. გზის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგემ დ. ფარემუზოვმა აღნიშნა, რომ სამკითხველოს ბევრი წიგნები აკლია, საქართველოს გასაბჭოების დროს დაკარგული წიგნები თანდათან იკრიბებიან. არ არის სამკითხველოში ქართული და საბავშვო წიგნები, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა. არ მოსდის სამკითხველოს საკმაო რიცხვი გაზეთებისა და სხვა.

კულტკომისია თანაგრძნობით შეხვდა მოხსენებას და დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის რკ. გზების პროფ. კავშირის კულტგანყოფილებასთან, რათა სამკითხველო უზრუნველყოფილ იქნას საჭირო ლიტერატურით.

Acus.

ეროვნულ-დემოკრატების განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

მოქ. რედაქტორო: გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს ჩვენს განცხადებას:

ჩვენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები, გაეცანით რა პარტიის ცეკას ყოფილი წევრების დეკლარაციას—მოთავსებულს გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს 181 ნომერში ვაცხადებთ, რომ ჩვენ ჩვენს მოვალეობათ მიგვაჩნია ამის შემდეგ გავიზიაროთ პარტიის ცეკას უმრავლესობის აზრი და დავემორჩილოთ ყველა მის გარდაწყვეტილებას.

ამასთანავე დავსძენთ, რომ უსარგებლოთ მიგვაჩნია უმცირესობაში დარჩენილი ცეკას წევრების ტაქტიკა და მიზანშეწონილად ვსთვლით კონფერენციის მოწვევის იდეას. საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში ვრჩებით ლოიალურ და კეთილ განწყობილნი.

1. სიმონ ხოფერია, 2. სილიბისტრო ყენია, 3. გიორგი ქიორელი, 4 იოსებ ბოლქვაძე, თანამგრძნობი.

ჩვენი ფოსტა

ამხ. ი. ხ.—ს—გთხოვთ საჩქაროთ შემოიაროთ რედაქციაში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ტფილისის აღმასკომის სავალდებულო დადგენილება № 33 შინაურ საქონლის გადამდებ სენთა წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ.

19 აგვისტო 1923 წ. ქ. ტფილისი.

ქალაქში საქონლებზე გადამდები სენის გავრცელების თავიდან ასაცდენათ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოხდეს აღწერა ქალ. ტფილისში შინაურ პირუტყვებისა, რომლებიც ეკუთვნიან როგორც კერძო პირთ, ისე დაწესებულებათ.

2. ყველა სახლისპატრონი, სახლის მოურავი, კომენდანტი და ვისაც კი დავალებული აქვს სახლის მეთვალყურეობა ტფილისში და მის რაიონებში, აგრეთვე დაწესებულებანი სამოქალაქო, სამხედრო და კერძო ვალდებულნი არიან ერთი თვის ვადაში, დღიდან ამ სავალდებულო დადგენილების გამოცხადების, წარუდგინონ აღმასკომის ვეტ-განყოფილებას, (ოთახი № 31, შესავალი განოვის ქუჩიდან) სწორი სია იმ შინაურ პირუტყვთა, რომელნიც იმყოფებიან ამა თუ იმ სადგომში, ან ამ თუ იმ დაწესებულებასთან.

3. შინაურ პირუტყვთა სიები მათი წარმომადგენის ხელმოწერით უნდა იყვეს შედგენილი შემდეგი ფორმით.

№№ რიგზე	სახელწოდება ქალ., ადგილის, ქუჩის, სახლის №, სახელი, მამის სახელი, გვარი საქონლის პატრონისა	ცხენი, ჯორი, ვირი	მსხვილფეხა რქიანი საქონ. და კამეჩი	ფუმბელი, მოზვერი	ხბო	ცხვარი, თხა	ბატკანი, თიკანი	ღორი	ჯოგი	შენიშვნა

შენიშვნა: განაპირა უბნებში შეიძლება იქნეს შედგენილი საერთო სია ზემო აღნიშნული ფორმით.

შენიშვნა: სიები უნდა იქნეს დაწერილი გარკვევით.

4. შინაურ პირუტყვთა პატრონებს ევალებათ პირველი მოთხოვნილებისთანავე წარუდგინონ პირუტყვები რაიონების ვეტპერსონალს ციმბირის სენის (ხუზარა) ჰილებთ ასაცრელად, ცხენების პატრონები კი მოვალენი არიან სამ თვეში ერთხელ წარუდგინონ ცხენები სათანადო ვეტ-პერსონალს შესამოწმებლათ ქოთაოს მხრივ.

5. ციმბირის სენის (ხუზარას) აცრას და ქოთაოს მხრივ შემოწმებას რაიონის პერსონალი აწარმოებს უსასყიდლოთ; ასაცრელ და ქოთაოს გასასინჯ მასალის საფასურს იხდის საქონლის პატრონი.

6. სასტიკად აკრძალულია ყიდვა-გაყიდვა ქალ. ტფილისში შინაურ პირუტყვთა, თუ წინასწარ არ იქნება იგი შემოწმებული ქალ. ვეტ-პერსონალის მიერ.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან ჯარიმით არა უმეტეს ასი ჩერვონეცის მანეთისა, ან დაპატიმრებით არა უმეტეს ორი თვისა.

8. წინადადება ეძლევა ქალაქის მილიციას ყოველგვარი კანონიერი დახმარება აღმოუჩინოს ვეტ-პერსონალს თანამდებობის ასრულების დროს.

9. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოცხადებისა გაზეთებში.

აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

მდივანი თიკანაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

ორშაბათს, 27 აგვისტოს, დღის 11½ საათზე

გადის

პირველი მატარებელი

გლეხთა ექსკურსიისა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა რაიონებს, მონაწილეობა მიიღონ გაცილებაში და ეს შემთხვევა გამოიყენონ როგორც პრაქტიკული მოვლენა სოფლისა დ ქალაქის ერთობის და ამ დღეს მისცენ საზეიმო სააგიტაციო ხასიათი როგორც დემონსტრაციას მუშებისა და გლეხების ერთიანობისას.

საუბნო კომიტეტებს წინადადება ეძლევათ დელეგაციები გაგზავნონ მუშებისაგან და აირჩიონ ორატორები მილოცვებისა და სიტყვების წარმოსათქმელად.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **მ. ესხენი.**

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. თომა არხიმანდრიტოვს და კარაპეტ მელკონიანს, გამოცხადდენ სამი დღის განმავლობაში ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის აღმრიცხავ ქვე-განყოფილებაში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი [illegible]

— ორშაბათს, 27 აგვისტოს საღამოს 5 საათზე ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ტფილისის განყოფილების დრ. საორგანიზაციო კომისიის კრება.

დღის წესრიგშია:

1. წესდების მიღება 2. მიმდინარე საკითხები.

კრებაზე აუცილებლად უნდა გამოცხადდენ შემდეგი წევრები და კანდიდატები:

წევ.—კახიანი, ივანოვი კავკაზსკი, სუხიშვილი, რუბენი, ყურულაშვილი, სუტირიანი, დვორიანოვი, ხეჩინოვი, მაჭავარიანი, ტონიევ, ავალიანი მ. ესსენი, ვართაპეტიანი, ლექვთარაძე, ნაზაროვი, აგამალიანი, გოლდბაუმი.

კანდ.—შახნაზაროვი, მაჩხულია, რაზმაძე, ფანცულაია, აკოპოვი, ხაცკევიჩი, ბოკერიშვილი, ქებურია.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საორგანიზაციო კომისია.

— სამშაბათს, 28 აგვისტოს ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში იწყება წევრების ჩაწერა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში.

ჩაწერა ხდება საღამოს 5-დან 8 საათამდე.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საორგანიზაციო კომისია.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-4 საუბნო კომიტეტი წინადადებას აძლევს იმ ამხანაგებს, რომელნიც მუშაობენ ეხლა, ან წინად მუშაობდნენ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში, გამოცხადდენ სარეგისტრაციოდ აგვისტოს 26-დე. რეგისტრაციას ექვემდებარებიან: რედაქტორები, სარედაქციო კოლეგიის წევრნი, კორესპონდენტები და ჟურნალ-გაზეთების მუდმივი თანამშრომელნი.

პასუხისმგებელი მდივანი (ხელის მოწერა).

სააღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილების გამგე ისაკოვი.

განცხადებები

ტფილისის ბირჟის კომიტეტი

ორშაბათს, 27 ამა მარიამობისთვეს, საღამოს 7 საათზე,

ტფილისის საქონლის და საფონდო ბირჟის შენობაში

(სოლოლაკის ქ. № 7)

იწვევს ქალ. ტფილისის ვაჭართა, მრეწველთა და ხელოსნების

საერთო კრებას.

შესვლა კრებაზე ყველა მოქალაქეთათვის თავისუფალია.

დღის წესრიგი:

1) დაარსება საქმიან (კომერციულ) კლუბისა,

2) მნიშვნელობა სახელმწიფო მომგებიან 6 პროცენტ. ოქროს სესხისა. 583—1—1

სამშაბათს, 28 ამა აგვისტოს, შუადღის 12 საათზე

ქალაქის აღმასკომში

დანიშნულია სამოქალაქო შეჯიბრება ვერის ბორანის იჯარით გაცემაზე.

ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის აღმასკომის ოთახში № 38. (კრ. 584 2—1)

ა. წ. აგვისტოს 27-ს დილის 10 საათზე ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) მოხდება

წინასწარი გამოცდები

იმ პირთა, რომელთაც სურთ შესვლა

მოსკოვის ქართულ დრამატიულ სტუდიაში,

რომელიც არსდება მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორის **ვ. ლ. მჭედლიშვილის** ხელმძღვანელობით; აგვისტოს 28-ს კი დანიშნულია საკონკურსო გამოცდები იმ პირთა, რომელნიც წინასწარ გამოცდებს ჩააბარებენ. საკონკურსო გამოცდებით მიღებულნი ჩაირიცხებიან სტუდიაში სტუდიის ხარჯზე.

ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე ხელოვანთა სასახლეში საღამოს 7 საათიდან 9 საათამდე. 1132 1—1

ვამზადებ მათემატიკის და რუსული ენის გაკვეთილებს

და ვამზადებ მოწაფეებს მუშფაკზე, ტეხნიკუმში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. პლეხანოვის ქუჩა 25, შესავალი ალექსის ქუჩიდან ნ. ნახვა 9—2 ს. და 3—7 ს. 1120 4—2

დაკარგე საქართველოს კომკავშირის ბელიკლიუჩის ორგანიზაციის რგვალი ბეჭედი. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

გრ. თალაკვაძე, უუზანი.

დაკარგე სახელმწიფო უნივერსიტეტის მატრიკული სიმონ კაკულიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1127—1—1)

დაკარგე განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი და გაზ. „კომუნისტის“ რედაქციიდან მიღებული მოწმობა ივანე ბუაჩიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დაკარგე უვადო პასპორტი გაიანე არუთინოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1028—1—1)

დაკარგე სარეგისტრაციო ბარათი მიღებული მე-6 კომისარიატიდან სვიმონ მეტრეველის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1129—1—1)

დაკარგე სრულიად რუსეთის საბჭოთა მოსამსახურეების პროფკავშირის წიგნაკი № 6935. ნადია გიორგაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1131—1—1)

დაკარგე კომუნისტური პარტიის მთლიანი პარტბილეთი № 497554, მოცემული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას მიერ ამხ. ვასილ მალხაზის ძე მამიევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1130—1—1)

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ამ.-კავ. რკ. გზ. გამგეობის ბინაზე (ვაგზლის ქუჩა № 1) დანიშნულია წერილობითი საჯარო ვაჭრობა ერთი წლის ვადით იჯარით გაცემაზე:

ვაგონ-რესტორანების №№ 933 და 912 (მოიჯარადრე—ცხომელიძესი და მაჯანაშვილის).

ვაგონ-ბუფეტის, რომელიც მოძრაობს №№ 3 | 4 და 7 | 8 მატარებლებთან ერთად,—ცივი საჭმელებით (მოიჯარადრეები—ჩახუნაშვილი, ძიძიგური, თოდუა და მუჯირი).

1 კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე: ფოთი—სად. ფოთი—ნავთსადგური, სუფსა, რიონი, ქუთაისი, შორაპანი, მოლითი, ბორჯომი, თელავი, კარდანახი, წნორის-წყალი, სანაინი, ბაგალი, ეჩმიაძინი, საგირი, სურახანი, იაშმა, კუსარ-ჩაი.

სავაჭრო კარვების შემდეგ სადგურებზე:

აბაშა (კიკნაძის შენობა), შორაპანი, ხაშური (ხარებავას შენობა), წალვერი, მუკუზანი, შაგალი, კარაკლისი, ალექსანდროპოლი, კარაბურუნი, საგირი, აჯიკაბული, სურახანი, კუსარ-ჩაი.

საპირფარეშოების შემდეგ სადგურებზე: ლანჩხუთი, საჩხერი, გორი, სანაინი, კარაკლისი, გუბრში, ერივანი, ნახიჩევანი, ხაჩმასი და ნატანები.

შემნახველი კამერის სად. ტფილისში.

შკაფების შინა-მრეწველობის საგნებით ვაჭრობისათვის: სადგურები—ბაქო 1 და საბუნჩი.

ის პირები, რომელთაც სურთ მონაწილეობამიიღონ საჯარო ვაჭრობაში, თავისი განცხადებები დაბეჭდილ კონვერტებში ან უნდა ჩააგდონ სპეციალურათ ამისთვის საბჭოს დარბაზის კარებთან გამოკიდულ ყუთში, ან გამოგზავნონ ასეთები წინდაწინ ფოსტით. კონვერტებზე, რომლებიც მოტანილი იქნება პირადათ ან ფოსტით გამოგზავნილი, უნდა ეწეროს: „ამ.-კავ. რ. გზ. სამმართველოს, ბუფეტების, კარავებისა და სხვა საჯარო ვაჭრობისათვის“. განცხადებაში კი აღნიშნული უნდა იყოს, სახელდობრ, რის აღება სურს იჯარით მომწერს და როგორია მის მიერ წინადადებული წლიური ფასი მშვიდობიან დროის მანეთის ანგარიშით.

განცხადებას თან უნდა დაერთვას:

1) ქვითარი ბეს შეტანის შესახებ, რომელიც უნდა შეადგენდეს წინადადებულ ფასის არა ნაკლებ 10 პროც. რამოდენიმე სავაჭროს აღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ ცალკე განცხადებები აღნიშნულ წესით და წარმოდგენილ საიჯარო ფასის ცალკე ბეს შეტანით, რომელიც ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა შეადგენდეს საიჯარო ფასის არა ნაკლებ 10 პროც.-სა. 2) შემოტანილ განცხადებებზე თანდართული უნდა იქნეს სადერბო გადასახადის ნიშნები.

იჯარით გაცემის დროს სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებულ ფასებით, არამედ რკინის-გზის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მოსაზრებითაც.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა (ტფილისი ვაგზლის ქუჩა № 1, ოთახი № 64). 3—2

„ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.